საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში

ავადმყოფობის, ხანდაზმულობის ან ორსულობის გამო

განაჩენის აღსრულების გადავადებისა და სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლების მექანიზმები საქართველოში

მომზადებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად

2024

სარჩევი

1. შესავალი 4
2. ძირითადი მიგნებები 5
3. მეთოდოლოგია 7
4. სტატისტიკური მონაცემები 8
5. საერთაშორისო ვალდებულებები 11
6. საქართველოს კანონმდებლობა 14
   6.1. სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლება ასაკის გამო 14
   6.2. სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლება ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო 15
   6.3. განაჩენის აღსრულების გადავადება ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო 15
   6.4. განაჩენის აღსრულების გადავადება ორსულობის გამო 16
   6.5. საპროცესო სამართლებრივი საკითხები 17
7. არსებული პრაქტიკა და გამოწვევები 18
   7.1. ექსპერტიზის ჩატარება შუამდგომლობის წარდგენამდე 18
   7.2. შუამდგომლობის წარდგენა 21
      7.2.1. არაგანსჯადი სასამართლოსთვის მიმართვა 21
      7.2.2. შუამდგომლობის დასაბუთების პრობლემა 22
      7.2.3. არარელევანტური დოკუმენტაციის წარდგენა 22
   7.3. შუამდგომლობის განხილვა 24
      7.3.1. სასამართლოს მიერ პირადი საქმისა და სამედიცინო ისტორიის გამოთხოვა 24
      7.3.2. ზეპირი მოსმენა 25
   7.4. შუამდგომლობის გადაწყვეტა 26
      7.4.1. გადაწყვეტილების მიღება განსჯადობის დარღვევით 26
      7.4.2. არაერთგვაროვანი პრაქტიკა მსჯავრდებულის გათავისუფლებასთან მიმართებით და განმეორებითი ექსპერტიზები 26
      7.4.3. გადაწყვეტილების დასაბუთება 29
      7.4.4. სამართალწარმოება სააპელაციო სასამართლოში 29
8. ორსულობის გამო გადავადებისა და ხანდაზმული ასაკის გამო გათავისუფლების საკითხების განხილვის თავისებურებები 30
9. მუდმივმოქმედი კომისიის საქმიანობა 32
10. 2023 წლის მონაცემები 34

11. დასკვნა 37
12. რეკომენდაციები 38

1. შესავალი

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებისა და განაჩენის აღსრულების გადავადების ისეთ მექანიზმებს ითვალისწინებს, როგორიცაა სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლება და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლა, ასევე, სასჯელისაგან გათავისუფლება ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის ასაკის გამო, განაჩენის აღსრულების გადავადება ავადმყოფობის ან ორსულობის გამო.

არსებული მექანიზმები მსჯავრდებულთა მიმართ ჰუმანური მიდგომის ერთ-ერთი გამოვლინებაა, რომელიც პატიმრებს შესაძლებლობას აძლევს, დროებით ან სრულად გათავისუფლდნენ სასჯელის მოხდისაგან მაშინ, როდესაც სასჯელის აღსრულების აუცილებლობის საპირწონედ დგას ადამიანის ჯანმრთელობა, სიცოცხლე, ბავშვის საუკეთესო ინტერესები და სხვა. ასევე, როდესაც მიჩნეულია, რომ მსჯავრდებული რესოციალიზებულია და საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის აღარ არის საჭირო მისი შემდგომი იზოლირება.

სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების ან შემსუბუქების მექანიზმები მუდმივად ხდება სახალხო დამცველის შესწავლის ობიექტი. პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის მექანიზმის ხარვეზებს, საპარლამენტო ანგარიშებისა[1] და საქმიანობის ანგარიშებთან ერთად,[2] სპეციალური ანგარიშებიც დაეთმო.[3]

წინა წლებში, სახალხო დამცველის ყოველწლიურ საპარლამენტო ანგარიშებში, რამდენჯერმე გამახვილდა ყურადღება ავადმყოფობის გამო სასჯელისაგან გათავისუფლების/განაჩენის გადავადების აღსრულების მიმართულებით არსებულ გამოწვევებზეც.[4] მიუხედავად ბოლო წლების განმავლობაში სახელმწიფოს მხრიდან ამ მექანიზმების მიმართულებით განხორციელებული გარკვეული პოზიტიური ცვლილებებისა,[5] მსჯავრდებულები პრაქტიკაში არსებულ არაერთ პრობლემაზე კვლავ მიუთითებენ.

---

[1] „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის 2019 (გვ. 67-68), 2020 (გვ. 107-110). 2021 (გვ.86-90), 2022 (გვ. 93-96) და 2023 (გვ. 100-103) წლის ანგარიშები.

[2] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2022 წლის (გვ. 111-131) და 2023 წლის (გვ. 226-253) ანგარიშები, ხელმისწვდომია: < https://bit.ly/3QW4pnT > და < https://bit.ly/44R37Ao >

[3] **იხ. < https://bit.ly/2KuZ33X >** [ბოლოს ნანახია: 10.06.2024]; ასევე, იხ. < http://bit.ly/3phSLmW > [ბოლოს ნანახია: 10.06.2024].

[4] „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის 2010 (გვ. 95), 2011 (გვ. 333, 442, 458), 2015 (გვ. 113-116) წლის ანგარიშები.

[5] მაგალითად, ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 23 დეკემბრის ერთობლივი ბრძანება №179-№427, რომელიც არ განსაზღვრავდა ისეთ პროცედურულ საკითხებს, როგორიცაა კომისიის შეკრების რეგულარობა,

წინამდებარე კვლევის მიზანია ორი, ერთმანეთის მსგავსი - ასაკისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სასჯელისგან გათავისუფლების (შემდგომში - გათავისუფლების მექანიზმი), ასევე, ჯანმრთელობისა და ორსულობის გამო განაჩენის აღსრულების გადავადების (შემდგომში - გადავადების მექანიზმი) მექანიზმის ეფექტიანობის შესწავლა და მნიშვნელოვანი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება.

ანგარიშზე მუშაობა შეუძლებელი იქნებოდა საერთო სასამართლოებიდან და საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივი მუდმივმოქმედი კომისიიდან (შემდგომში - მუდმივმოქმედი კომისია) მოცულობითი ინფორმაციის/მასალების მიღების გარეშე. სახალხო დამცველის აპარატი მადლობას უხდის შესაბამის უწყებებს თანამშრომლობისათვის.

2. ძირითადი მიგნებები

პრაქტიკის შესწავლამ აჩვენა, რომ სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების/გადავადების საქმისწარმოება ხასიათდება არაერთი ხარვეზით. გარდა ამისა, არის საკითხები, რომელთა ერთიანი სტანდარტით გადაწყვეტისთვის საჭიროა ცვლილებები განხორციელდეს კანონმდებლობაში.

- კანონმდებლობით გათვალისწინებული კრიტერიუმების არსებობისას, იმის მიუხედავად, რომ სამედიცინო ექსპერტიზას ნიშნავს და ატარებს სპეციალური პენიტენციური სამსახური, სამსახური თავად, თითქმის არასდროს არ მიმართავს სასამართლოს, მიუხედავად ექსპერტიზის მძიმე დასკვნისა.[6] ამ პროცედურის დაწყება მსჯავრდებულებს უწევთ;

- დაცვის მხარე (მსჯავრდებული/ადვოკატი) ხშირად მიმართავს შუამდგომლობით არაგანსჯად სასამართლოს, რაც ამ კუთხით ცნობიერებისა და პრაქტიკის ნაკლებობაზე შეიძლება მიუთითებდეს. იყო შემთხვევები, როდესაც თავად სასამართლომაც არ გადასცა საქმე განსჯად სასამართლოს;

- წარდგენილი შუამდგომლობები, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნების მიუხედავად,[7] ხშირად დაუსაბუთებელია და არ შეიცავს საკითხის გადაწყვეტისთვის საჭირო და საკმარის ინფორმაციას;

განცხადების დასაშვებობისა და დასაშვებად ცნობილი განცხადების განხილვის ვადები, ამასთანავე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა.

[6] კვლევის ფარგლებში დაფიქსირდა მხოლოდ ერთი შემთხვევა, როდესაც სამსახურმა სასამართლოს მიმართა მსჯავრდებულის სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობით.

[7] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 93, ნაწ. 2.

- არაერთგვაროვანი პრაქტიკა გვხვდება იმ მსჯავრდებულების სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებით, ვის მიმართაც გამოყენებულია მძიმე ავადმყოფობის გამო სასჯელის მოხდის გადავადება და ვინც ითხოვს სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებას. უმეტეს შემთხვევაში, არ ხდება მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლება. დაფიქსირდა მხოლოდ ორი შემთხვევა, როდესაც სასამართლომ ის მსჯავრდებული გაათავისუფლა სასჯელის შემდგომი მოხდისაგან, რომლის მიმართაც უკვე გამოყენებული იყო სასჯელის მოხდის გადავადება ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო;

- ვინაიდან სააპელაციო სასამართლოში, საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, საჩივარი განიხილება მხოლოდ ზეპირი მოსმენის გარეშე, მხარეს არ ეძლევა შესაძლებლობა, სააპელაციო სასამართლოში გამოიკვლიოს ის მტკიცებულება, რომელიც პირველი ინსტანციის სასამართლოში შუამდგომლობის განხილვის დროს გამოკვლეული იყო კანონის დარღვევით;

- მსჯავრდებული, რომელსაც ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო გადავადებული აქვს სასჯელის მოხდა, კანონის მოთხოვნის შესაბამისად, წელიწადში ერთხელ მაინც, ვალდებულია ჩაიტაროს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა და წარუდგინოს სასამართლოს, იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც ექსპერტიზის თავდაპირველი დასკვნის თანახმად, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება მოსალოდნელი არ არის;

- სასამართლოსა და მუდმივმოქმედი კომისიიდან მიღებული დოკუმენტების გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, რომ კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა არ ადგენს ვადას - შუამდგომლობით მიმართვამდე რა პერიოდით ადრე უნდა იყოს ჩატარებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა;

- მუდმივმოქმედი კომისიის მიერ განხილული შუამდგომლობებიდან, ყველა შემთხვევაში შუამდგომლობის ინიციატორი პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორი იყო, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში განცხადებები დასაშვებობის ეტაპზევე დახარვეზდა შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტების (ექიმთა კონსილიუმის დასკვნა) არარსებობის გამო, რაც დიდი ალბათობით გამოწვეულია ნორმატიულ აქტში[8] არსებული ბუნდოვანებით. ბრძანება მართალია არეგულირებს ექიმების კონსილიუმის შექმნისა და უფლებამოსილების განსაზღვრის ზოგად წესს, თუმცა მკაფიოდ არ არის გაწერილი ექიმთა კონსილიუმის შესაკრებად მიმართვის პროცედურა, რაც სავარაუდოდ დამატებით დაბრკოლებებს უქმნის მსჯავრდებულებს, მათ ადვოკატებს

[8] „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივი მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის წესის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის პირობების, აგრეთვე ექიმთა კონსილიუმის შექმნის წესისა და უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 31 აგვისტოს №104–№01-56/ნ ერთობლივი ბრძანება.

და კანონიერ წარმომადგენლებს უზრუნველყონ შესაბამისი დოკუმენტების სრულყოფილად წარდგენა;

- უკეთ მუშაობს ორსულობის ან ბავშვის ერთი წლის ასაკის მიღწევამდე მსჯავრდებულისთვის სასჯელის მოხდის გადავადების მექანიზმი, რომელშიც არსებითი პროცედურული ხასიათის ხარვეზები არ გამოვლენილა.

3. მეთოდოლოგია

წინამდებარე ანგარიშის მიზნებისთვის სახალხო დამცველის **აპარატმა სულ შეისწავლა 194 საქმე, კერძოდ, სასამართლოებში განხილული 115 და მუდმივმოქმედი კომისიის მიერ განხილული 79 მსჯავრდებულის საქმე.**

ანგარიშის მომზადების პროცესში სახალხო დამცველის აპარატმა, ***პირველ ეტაპზე,*** პრაქტიკაში არსებული ხარვეზების შესწავლის მიზნით, გამოითხოვა და შეისწავლა ქუთაისის, ბათუმის, რუსთავის საქალაქო და გორის, ახალციხის, ზუგდიდის, თელავის რაიონული სასამართლოების[9] მიერ 2015 წლიდან - 2020 წლის მარტის თვის ჩათვლით[10] განხილული ყველა საქმე და ასევე თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019-2020 წლების ყველა საქმე;[11] ჯამში 86 საქმე. ასევე, კომისიის 2017 წლის 1 სექტემბრიდან - 2020 წლის 31 მაისის ჩათვლით მიღებული ყველა გადაწყვეტილება და თანდართული მასალები - სულ 51 საქმე.

გარდა ამისა, გადავადება/გათავისუფლების მექანიზმის მუშაობაზე დაკვირვებისა და არსებული დინამიკის გაანალიზების მიზნით, აპარატმა, ***მეორე ეტაპზე,*** გამოითხოვა და შეისწავლა თბილისის, რუსთავის, ქუთაისისა და ბათუმის საქალაქო სასამართლოების მიერ 2023 წელს განაჩენის აღსრულების გადავადების/სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობების განხილვის მასალები, სულ - 29 საქმეზე. ასევე, მუდმივმოქმედი კომისიის მიერ 2023 წლის განმავლობაში ავადმყოფობის გამო მსჯავრდებულების სასჯელისაგან გათავისუფლების საკითხთან დაკავშირებით მიღებული 28 გადაწყვეტილება.

---

[9] აპარატმა ასევე მიმართა ფოთის საქალაქო სასამართლოს, მცხეთისა და ბოლნისის რაიონულ სასამართლოებს. მცხეთის რაიონულმა სასამართლომ აპარატს მასალები არ მიაწოდა, ხოლო ფოთისა და ბოლნისის სასამართლოებს არ ჰქონდათ განხილული მსგავსი საქმეები.

[10] მოცემულ პერიოდში თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილულ იქნა 100-ზე მეტი შუამდგომლობა, რაც საგრძნობლად აღემატება რეგიონში მდებარე სასამართლოების მიერ განხილულ ერთეულ შუამდგომლობებს და აღარ იქნა საჭიროდ ჩათვლილი 2015-2018 წლის საქმეების შესწვლა, როგორც ეს რეგიონების შემთხვევაში მოხდა.

[11] თბილისის საქალაქო სასამართლოდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, მითითებულ პერიოდში განხილულ იქნა სულ 36 შუამდგომლობა, თუმცა, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ აპარატში შესასწავლად წარმოდგენილი იყო 30 შუამდგომლობა და საქმე.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ ჩატარებული კვლევის მიზანია წარმოაჩინოს მსჯავრდებულისთვის მინიჭებული უფლებების რეალიზების ხარვეზები (პროცედურული ასპექტი) და კვლევის მიზანი არ მოიცავდა მუდმივმოქმედი კომისიის ან/და სასამართლოს მხრიდან საკითხის შეფასების საფუძვლიანობის/მიზანშეწონილობის შესწავლას.

ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის, ასევე, პრაქტიკაში არსებული მიდგომების მიმოხილვის შედეგად, წინამდებარე სპეციალურ ანგარიშში წარმოდგენილი იქნება ის კონკრეტული რეკომენდაციები, რომელთა შესრულება პრაქტიკაში და კანონმდებლობაში გამოკვეთილი პრობლემების აღმოფხვრას, ამასთანავე, მსჯავრდებულებისთვის გადავადება/გათავისუფლების მექანიზმის ეფექტიან გამოყენებას შეუწყობს ხელს.

4. სტატისტიკური მონაცემები

საერთო სასამართლოების მიერ წარმოდგენილი მასალების თანახმად, 2015-2020 წლის პერიოდში საერთო სასამართლოებს სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების შესახებ მიმართეს 98 შუამდგომლობით, ხოლო სასჯელის მოხდის გადავადების შესახებ 96 შუამდგომლობით.[12]

აქედან:

თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხილა 72 შუამდგომლობა სასჯელის მოხდის გადავადების შესახებ და 65 შუამდგომლობა სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების თაობაზე. სახალხო დამცველის აპარატს გამოთხოვილი ჰქონდა ასევე დეტალური სტატისტიკური მონაცემები შუამდგომლობების განხილვის შედეგების შესახებ (რამდენი შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და რამდენს ეთქვა უარი), თუმცა სასამართლოდან მიღებული პასუხებით აპარატს ეცნობა, რომ ხსენებული საქმეების შესახებ სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვა და დამუშავება მითითებული ნიშნებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს შესაბამისი სამსახურის მიერ არ ხორციელდება.[13]

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მითითებულ პერიოდში გათავისუფლების თაობაზე დაცვის მხარემ მიმართა სულ 3 შუამდგომლობით. აქედან 2 შუამდგომლობა დარჩა განუხილველი და შუამდგომლობა დაკმაყოფილდა.[14] ამასთან, სასამართლოს ინფორმაციით, მითითებულ პერიოდში სასჯელის გადავადების შესახებ შუამდგომლობა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში რეგისტრირებული არ არის, თუმცა, ამავე წერილის

---

[12] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 283-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „იმ მსჯავრდებულის მიმართ, რომელსაც სასჯელად დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა, განაჩენის აღსრულება შეიძლება გადაავადოს განაჩენის გამომტანმა სასამართლომ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, იმავე განაჩენით, ხოლო მისი გამოტანის ჩემდეგ - განჩინებით".

[13] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 18 მაისის №9540 და №9541 წერილები.

[14] ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 25 მაისის №4804-2 და 2020 წლის 12 ივნისის №5458-2 წერილები.

თანახმად 1 შემთხვევაში მოხდა მსჯავრდებულისთვის სასჯელის მოხდის გადავადების გაუქმება (მსჯავრდებული გათავისუფლდა სასჯელის მოხდისაგან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო).[15]

ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადავადების შესახებ შუამდგომლობით დაცვის მხარემ მიმართა 7 შუამდგომლობით, აქედან დაკმაყოფილდა მხოლოდ ერთი, ხოლო გათავისუფლების თაობაზე სასამართლოს მიმართეს 3 შუამდგომლობით, აქედან სამივე შემთხვევაში შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა. [16]

ახალციხის რაიონულ სასამართლოს დაცვის მხარემ ორჯერ მიმართა გადავადების შესახებ შუამდგომლობით. ორივე შუამდგომლობა დაკმაყოფილდა. გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობით მითითებულ პერიოდში სასამართლოსთვის არ მიუმართავთ.[17]

გორის რაიონულ სასამართლოს გადავადების შესახებ შუამდგომლობით დაცვის მხარემ მიმართა 3 შემთხვევაში, აქედან 1 შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, ერთ მათგანს უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე, ხოლო ერთი შუამდგომლობა დარჩა განუხილველი, ხოლო გათავისუფლების შესახებ სასამართლოს დაცვის მხარემ მიმართა 1 შუამდგომლობით, რაც დაკმაყოფილდა.[18]

ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს გადავადების თაობაზე მიმართეს 2 შუამდგომლობით. მათგან ერთი შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, ხოლო ერთი არა. ასევე, გათავისუფლების შესახებ 1 შუამდგომლობით, რაც არ დაკმაყოფილდა.[19]

თელავის რაიონული სასამართლოს მოცემულ პერიოდში მიმართა დაცვის მხარემ 3 შუამდგომლობით გადავადების თაობაზე, რომელთაგან არც ერთი არ დაკმაყოფილებულა. გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობები არ ფიქსირდება.[20]

რუსთავის საქალაქო სასამართლოს სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების თაობაზე დაცვის მხარემ მიმართა 24 შუამდგომლობით, რომელთაგან 22 არ დაკმაყოფილდა, 1 დარჩა განუხილველი, ხოლო ერთი - შუამდგომლობის ინიციატორმა გაითხოვა, ხოლო გადავადების თაობაზე სასამართლოს მიმართეს 7 შემთხვევაში. აქედან 6 არ დაკმაყოფილდა, ხოლო ერთი - პასუხის მიღების მომენტისთვის განხილვის ეტაპზე იყო.[21]

თბილისის სააპელაციო სასამართლოში 2015-2020 წლის 31 მარტის პერიოდში შევიდა 43 საჩივარი.[22] წლების მიხედვით მონაცემები შემდეგია: 2015 წელს სასამართლოში გადავადების საკითხთან დაკავშირებით შევიდა დაცვის მხარის 15 საჩივარი, რომელთაგან 13 საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო 2 საჩივარი დარჩა განუხილველი. 2016 წელს

---

[15] ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 25 მაისის №4803-2 წერილი.
[16] ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 24 მაისის №341 გ/კ და №342 გ/კ წერილები.
[17] ახალციხის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის №138 წერილი.
[18] გორის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 1 ოქტომბრის №2497 და №2498 წერილები.
[19] ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 26 სექტემბრის №473 და №474 წერილები.
[20] თელავის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 2 ოქტომბრის №4499 წერილი.
[21] რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 2 ოქტომბრის №969/გ და №970/გ წერილები.
[22] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 22 მაისის №1/3024 და №1/3023 წერილები.

სასამართლოს მხარეებმა მიმართეს 6 საჩივრით, აქედან 5 საჩივარი იყო დაცვის მხარის, ხოლო 1 პენიტენციური სამსახურის. აღნიშნული საჩივრებიდან 5 საჩივარი (მათ შორის პენიტენციური სამსახურის საჩივარი) არ დაკმაყოფილდა, ხოლო 1 საჩივარი (დაცვის მხარის) დაკმაყოფილდა. 2017 წელს სასამართლოს მხარეებმა მიმართეს 9 საჩივრით, აქედან 8 საჩივრით მიმართა დაცვის მხარემ, ხოლო ერთი საჩივრით - პენიტენციურმა სამსახურმა. ყველა საჩივარს დაკმაყოფილებაზე ეთქვა უარი. 2018 წელს დაცვის მხარემ მიმართა 4 საჩივრით, რომელთაგან არცერთი არ დაკმაყოფილდა . 2019 წელს ასევე დაცვის მხარემ მიმართა 5 საჩივრით, საიდანაც 4 საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო 1 საჩივარი დაკმაყოფილდა. 2020 წლის 31 მარტის ჩათვლით დაცვის მხარემ მიმართა 4 საჩივრით. აქედან 3 საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო 1 საჩივარი დარჩა განუხილველი.

ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ან ხანდაზმულობის გამო გათავისუფლების საკითხთან დაკავშირებით თბილისის სააპელაციო სასამართლოში 2015 წელს საჩივარი პირველი ინსტანციის სასამართლოების განჩინებებზე არ შესულა, 2016 წელს - შევიდა დაცვის მხარის 3 საჩივარი, საიდანაც 2 საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო 1 საჩივარი დარჩა განუხილველი. 2017 წელს შევიდა დაცვის მხარის 3 საჩივარი, რომელთაგან არ დაკმაყოფილდა არც ერთი. 2018 წელს დაცვის მხარემ მიმართა 14 საჩივრით, აქედან არ დაკმაყოფილდა 13, საჩივარი, ხოლო 1 საჩივარი დარჩა განუხილველი. 2019-წელს დაცვის მხარემ მიმართა 14 საჩივრით, რომელთაგან არ დაკმაყოფილდა არც ერთი. 2020 წლის 31 მარტის ჩათვლით დაცვის მხარემ მიმართა 4 საჩივრით, აქედან 2 საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ერთი საჩივარი დარჩა განუხილველი, ხოლო 1 საჩივარი იყო განხილვაში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს პასუხის თანახმად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლო არ აწარმოებს სტატისტიკას კვლევისთვის რელევანტური სახით.[23]

რაც შეეხება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივი მუდმივმოქმედი კომისიის საქმიანობის სტატისტიკას, 2017 წლის 1-ლი სექტემბრიდან - 2020 წლის 13 აგვისტოს ჩათვლით სულ მიღებულია 38 გადაწყვეტილება (დასკვნა), საიდანაც ყველა დადებითი შინაარსისაა. კომისიიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2018-2020 წლებში, დასაშვებობის ეტაპზე დახარვეზდა 13 შუამდგომლობა.

2023 წლის განმავლობაში მუდმივმოქმედ კომისიას მიმართეს 28-ჯერ. აქედან 16 შემთხვევაში კომისიამ მიიღო დადებითი გადაწყვეტილება, ხოლო 12-მა შუამდგომლობამ ვერ დააკმაყოფილა დასაშვებობის კრიტერიუმები.

[23] ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 21 მაისის №382-2/10 წერილი.

5. საერთაშორისო ვალდებულებები

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით არ არის გარანტირებული მსჯავრდებულის უფლება, გათავისუფლდეს პენიტენციური დაწესებულებიდან მხოლოდ მისი ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის, ხანდაზმული ასაკის ან/და ორსულობის გამო. თუმცა, ქვემოთ განხილული საერთაშორისო აქტები მიუთითებს, რომ სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, პირის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსების შემთხვევაში, პატიმარი უზრუნველყოს მისი ფიზიკური მდგომარეობისთვის სათანადო პირობებით, ადეკვატური და დროული მკურნალობით, ხოლო ორსული და ჩვილბავშვიანი ქალების შემთხვევაში დამატებით გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვის მდგომარებისთვის შესაბამისი პირობებიც.

მიუხედავად იმისა, რომ პატიმრის გათავისუფლება ჯანმრთელობის მდგომარეობის, ან ხანდაზმულობის გამო პირდაპირ დაცული არ არის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით, ასეთი პირის დაკავების შემთხვევაში არ არის გამორიცხული მისი ციხეში ყოფნის გარემოებები მოხვდეს კონვენციის მე-3 მუხლის მოქმედების სფეროში.[24]

კონვენცია პირდაპირ არ ავალდებულებს სახელმწიფოს პატიმრობიდან გაათავისუფლოს მძიმე დაავადების მქონე ან/და ხანდაზმული პატიმარი, მაგრამ ავალდებულებს უზრუნველყოს მათთვის შესაბამისი განთავსების პირობები და ადეკვატური სამედიცინო მომსახურება. Mouisel-ის საქმეში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ხანდაზმული პირის პატიმრობაში ხანგრძლივი დროით ყოფნამ შეიძლება ასევე გამოიწვიოს კონვენციის მე-3 მუხლით დაცული უფლების დარღვევა. სასამართლო ითვალისწინებს, რომ არსებობს გარდაუვალი შემთხვევები, როდესაც პირის, მათ შორის მძიმე ავადმყოფის, ან ხანდაზმული პირის პატიმრობაში ყოფნა აუცილებელია, თუმცა, აქვე აღნიშნავს, რომ შეიძლება არსებობდეს გარემოებები, როდესაც აუცილებელია ჰუმანიტარული ზომების მიღება. ამასთან, სასამართლო საკითხის განხილვისას მხედველობაში იღებს და ითვალისწინებს სახელმწიფოს ძალისხმევას, მიაწოდოს შესაბამისი მკურნალობა და შეუქმნას შესაბამისი პირობები ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის მქონე პატიმრებს.

შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არაერთ საქმეზე უმსჯელია პირის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობისა ან ხანდაზმული ასაკის გამო პატიმრობის შეუთავსებლობის საკითხზე კონვენციის მე-3 მუხლთან მიმართებით. სასამართლო უთითებს, რომ პირის პატიმრობაში ყოფნა მას არ უნდა აყენებდეს იმაზე მეტ ტანჯვას, რაც გარდაუვალია თავად დაპატიმრებით გამოწვეული მდგომარეობით. ამასთან, პირი პატიმრობაში უნდა იმყოფებოდეს ისეთ გარემოში, სადაც დაცულია ადამიანის ღირსება.

[24] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2002 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Mouisel v. France, №76263/01, §38.

სასამართლომ განმარტა, რომ განსაკუთრებულ შემთხვევაში ჰუმანიტარული ღონისძიების განხორციელება აუცილებლობასაც შეიძლება წარმოადგენდეს.[25]

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ პატიმარი უნდა იღებდეს დროულ და მისი ჯანმრთელობისთვის საჭირო მკურნალობას[26] და ექიმის მიერ პატიმრის მხოლოდ მონახულება/კონსულტირება საკმარისად არ მიიჩნია.[27] ევროპული სასამართლო ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნევს იმას, რომ პატიმრის მკურნალობა, საჭიროების შემთხვევაში, იყოს რეგულარული და მიმართული იყოს დაავადების გამწვავების თავიდან აცილებისკენ.[28] სასამართლოს დიდი პალატის განმარტების მიხედვით, კონვენციის მე-3 მუხლის მოქმედების სფეროში ასევე შეიძლება მოექცეს გარემოება, თუ პატიმარს არ მიეცა სამოქალაქო სექტორის კლინიკაში მკურნალობის ჩატარების შესაძლებლობა, როცა პენიტენციური სისტემა ვერ უზრუნველყოფს მის სათანადო მკურნალობას, არ აქვს აუცილებელი აღჭურვილობა და პერსონალი.[29]

როცა პატიმარი დაავადებული იყო ისეთი დაავადებით, რომლის გამოც მოსალოდნელია დროის მოკლე პერიოდში პირის გარდაცვალება, სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა, რაკი სახელმწიფომ არ შეაფასა პატიმრობის გაგრძელების მიზანშეწონილობა და არ იქნა მიღებული პატიმრის გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის, სასჯელის მოხდის ვადისა და პატიმრობაში მისი ქცევის გათვალისწინებით.[30]

სასამართლომ ასევე განიხილა პირის ხანდაზმული ასაკის გამო პატიმრობის პირობები. ხანდაზმული ასაკი, ზოგადად, არ მიიჩნევა პირის მიმართ პატიმრობის გამოყენების გამომრიცხველ ან შემაფერხებელ გარემოებად. თუმცა, იმ შემთხვევაში, როდესაც კუმულაციურად სახეზეა როგორც ხანდაზმული ასაკი, ასევე, ხანდაზმული პირის ჯანმრთელობის მდგომარეობა, შეზღუდული შესაძლებლობები და პირობები, პატიმრობა

---

[25] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2009 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Enea v. Italy, №74912/01, §58.

[26] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Holomiov v. Moldova, №30649/05, §§117-122; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე Ashot Harutyunyan v. Armenia, №34334/04, §§112-116; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 22 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე Kolesnikovich v. Russia, №44694/13, §§76,80,81.

[27] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Hummatov v. Azerbaijan, №9852/03 და №13413/04, §116.

[28] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Amirov v. Russia, №51857/13, §93.

[29] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე Mozer v. Moldova and Russian Federation, №11138/10, §§ 178-179, 183-184.

[30]ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Dorneanu v. Romania, №55089/13, §§ 93-100; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 5 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე Gülay Çetin v. Turkey, №44084/10, §§ 122-125.

ან/და გათავისუფლების საკითხის გაჭიანურებით განხილვა, შეიძლება არ იყოს კონვენციის მე-3 მუხლის შესაბამისი.[31]

სასამართლოს ასევე ამახვილებს ყურადღებას დედებისა და ჩვილი ბავშვების იძულებით განშორების არასასურველობასა და ბავშვების საუკეთესო ინტერესების დაცვის პრინციპზე. ამასთან აღნიშნულია ისიც, რომ ციხეები, ზოგადად არ უზრუნველყოფს სათანადო გარემოს ჩვილი ბავშვებისთვის.[32]

შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს დადგენილი აქვს ჩარჩო-სტანდარტები, რომელთა არსებობის შემთხვევაში, მიზანშეწონილია მსჯავრდებულის სასჯელის მოხდის გადავადება ან მისი სრულად გათავისუფლება.

ხანდაზმული მსჯავრდებულების საჭიროებების იდენტიფიცირებისა და დაკმაყოფილების მიზნით, 2016 წლის 1-2 დეკემბერს, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ორგანიზებით ჩატარდა სამუშაო შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდა ევროპის 11 ქვეყანა, იაპონია, წამების საწინააღმდეგო კომიტეტი და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები. სამუშაო შეხვედრის შედეგები აისახა შემაჯამებელ ანგარიშში, რომელშიც მიმოხილულია ის ასპექტები, რომლებიც კრიტიკულად მნიშვნელოვანია ხანდაზმული ასაკის პატიმრებისთვის ციხის პირობებში სასჯელის მოსახდელად.[33]

ხანდაზმული ასაკის ადამიანების ყოფნა ციხეში ზრდის მათი გარდაცვალების ალბათობას. ჰოსპისის პროგრამები[34] მხოლოდ ზოგიერთ პენიტენციურ სისტემაში არსებობს, სხვა პენიტენციურ დაწესებულებებში, ციხის პერსონალი და სხვა მსჯავრდებულები არ არიან მომზადებული იმ სირთულეებისთვის, რომლებიც ახასიათებს სხვადასხვა სერიოზულ და განუკურნებელ დაავადებებს. ხშირად არ არსებობს სათანადო ღონისძიებები პატიმრების დახმარებისთვის სიცოცხლის ბოლო დღეებში, რომლებსაც შეიძლება ახასიათებდეს უიმედობის, მარტოობისა და წარუმატებლობის გრძნობა.

იმ პირობებში, როცა გათავისუფლება შეიძლება ძალიან შორეული პერსპექტივა იყოს მძიმე კვალიფიკაციით მსჯავრდებული ადამიანებისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება ზრუნვა და პალიატიური მკურნალობა[35], რაც შეიძლება შეუთავსებელი იყოს ციხის სადამსჯელო გარემოსთან. საჭირო რესურსების მოპოვება შეიძლება იყოს რთული და საავადმყოფოს ექიმები შეიძლება არ იყვნენ კარგად ინფორმირებული. იყო შემთხვევები, როცა პერსონალმა დიდი ძალისხმევა გასწია

---

[31] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Farbtuhs v. Latvia, №4672/02, §§ 56-61.

[32] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე Korneykova and Korneykov v. Ukrain, №56660/12, §129; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2013 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე X v. Latvia, №27853/09, §95.

[33] Summary Report, Workshop on ageing and imprisonment: identifying and meeting the needs of older prisoners; ICRC, Paris, 2018, 3. ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3ujoYyE >; [ბოლოს ნანახია: 10.06.2024].

[34] პროგრამა, რომლის მიზანია ავადმყოფობის სიმპტომების შემსუბუქება, უიმედო მდგომარეობაში მყოფ ადამიანზე ზრუნვა, ემოციური თანადგომა და სხვა.

[35] უკურნებელი და პროგრესირებადი სენით დაავადებული ადამიანების დახმარება.

ავადმყოფი პატიმრების საავადმყოფოში გადასაყვანად, მაგრამ ექიმებმა, სასწრაფო სამედიცინო დახმარების გაწევის შემდეგ, დააბრუნეს ისინი ციხეში, რადგან არ ჰქონდათ გააზრებული რომ ციხეში არ იყო შესაბამისი გარემო.[36]

წამების საწინააღმდეგო კომიტეტის სტანდარტებში ნათქვამია, რომ „განუკურნებელი სენით დაავადებული ან მომაკვდავი პატიმრები ჩვეულებრივ საფრთხეს აღარ წარმოადგენენ საზოგადოებისთვის და უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, რომ სიცოცხლე დაასრულონ ციხის გარეთ, თუ ამის სურვილი აქვთ".[37]

6. საქართველოს კანონმდებლობა

მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს სასჯელისაგან გათავისუფლების შესაძლებლობას ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის ასაკის გამო.[38] ავადმყოფობის საფუძვლით გათავისუფლების შემთხვევაში, შუამდგომლობას განიხილავს როგორც სასამართლო, ასევე - მუდმივმოქმედი კომისია, ხოლო ხანდაზმულობის ასაკის გამო გათავისუფლების შუამდგომლობას განიხილავს სასამართლო. კანონმდებლობით გათვალისწინებულია ასევე სასამართლოს მიერ სასჯელის მოხდის/განაჩენის აღსრულების გადავადების შესაძლებლობა ავადმყოფობის ან ორსულობის გამო.[39]

6.1. სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლება ასაკის გამო

სასამართლო უფლებამოსილია სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გაათავისუფლოს სასჯელის მოხდის პერიოდში ხანდაზმულობის ასაკს მიღწეული პირი (ქალი – 65 წლიდან, მამაკაცი – 70 წლიდან), თუ მას სასჯელის სახით დანიშნული არ აქვს უვადო თავისუფლების აღკვეთა და მოხდილი აქვს სასჯელის არანაკლებ ნახევარი.[40]

გათავისუფლების საკითხის განხილვისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ყველა გარემოება, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს სასამართლოს გადაწყვეტილებაზე.[41] სასჯელის მოხდის ადგილის მიხედვით პირველი ინსტანციის სასამართლო უფლებამოსილია, შესაბამისი შუამდგომლობის საფუძველზე მსჯავრდებულის სასჯელის

---

[36] Summary Report, Workshop on ageing and imprisonment: identifying and meeting the needs of older prisoners; ICRC, Paris, 2018, 10. ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3ujoYyE >; [ბოლოს ნანახია: 10.06.2024].

[37] წამების საწინააღმდეგო კომიტეტის მე-3 ზოგადი ანგარიში, CPT/ Inf(93), 12 §70.

[38] სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 74; სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 284.

[39] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 283; სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 75.

[40] სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 74, ნაწ. 4; სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 284, ნაწ. 3.

[41] „სასჯელის სახით დანიშნული თავისუფლების აღკვეთის აღსრულების მიზანშეწონილობა, მსჯავრდებულის პიროვნება, მის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტი, დანაშაულის ხასიათი, მოტივი, მიზანი, დამდგარი შედეგი, დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკი, მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდისას გამოვლენილი ქცევა და სხვა გარემოებები" - სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 74, ნაწ. 5; სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 284, ნაწ. 4.

შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლების შესახებ განჩინება გამოიტანოს ზეპირი მოსმენით, სპეციალური პენიტენციური სამსახურის სავალდებულო მონაწილეობით.[42]

ამ საფუძვლებით სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლებისას მსჯავრდებული შესაძლებელია დამატებითი სასჯელის მოხდისაგანაც გათავისუფლდეს.[43]

6.2. სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლება ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო

სასამართლო უფლებამოსილია სასჯელის მოხდისაგან გაათავისუფლოს მსჯავრდებული, თუ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა შეუსაბამოა სასჯელის მოხდასთან და ექსპერტიზის[44] დასკვნის თანახმად, მსჯავრდებულის გამოჯანმრთელება ან/და ჯანმრთელობის მდგომარეობის არსებითი გაუმჯობესება მოსალოდნელი არ არის.[45]

ამავე საფუძვლით გათავისუფლების უფლებამოსილება გააჩნია მუდმივმოქმედ კომისიას. კომისია უფლებამოსილია სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გაათავისუფლოს პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებული, თუ მას აქვს დაავადება ან დაავადებათა ერთობლიობა და მკურნალობის ფონზე მისი ძირითადი სასიცოცხლო მაჩვენებლების შენარჩუნება გართულებულია, ამასთანავე, ექიმთა კონსილიუმის მიერ კონსენსუსის საფუძველზე განსაზღვრული ლეტალურობის პროგნოზი მაღალია.[46]

აღსანიშნავია, რომ ორივე შემთხვევაში, საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს შესაძლებლობას, მსჯავრდებულს, გამოჯანმრთელების შემდგომ, კვლავ დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და დაენიშნოს სასჯელი, თუ არ გასულა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადები.[47]

6.3. განაჩენის აღსრულების გადავადება ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს მსჯავრდებულისთვის სასჯელის მოხდის გადავადების შესაძლებლობას, თუ მსჯავრდებული დაავადებულია

---

[42] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 284, ნაწ. 5.

[43] სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ.74, ნაწ.7; სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 284, ნაწ. 6.

[44] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში აღნიშნულია „ექსპერტიზა", ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მოიხსენიებს ტერმინს „სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა", თუმცა ორივე ტერმინს პრაქტიკაში აქვს ერთი და იგივე მნიშვნელობა.

[45] სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 74; სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 284, ნაწ. 1.

[46]სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 74, ნაწ. 2; სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 284, ნაწ. 2 და "საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივი მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის წესის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის პირობების, აგრეთვე ექიმთა კონსილიუმის შექმნის წესისა და უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 31 აგვისტოს №104–№01-56/ნ ერთობლივი ბრძანება.

[47] სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 74, ნაწ. 3.

მძიმე ავადმყოფობით, რაც ხელს უშლის სასჯელის მოხდას. გადავადების საკითხს განიხილავს და წყვეტს განაჩენის გამომტანი სასამართლო, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე. განაჩენის აღსრულების გადავადება ხდება მსჯავრდებულის გამოჯანმრთელებამდე ან ჯანმრთელობის მდგომარეობის არსებითად გაუმჯობესებამდე.[48]

ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების შემთხვევებისგან განსხვავებით, მოცემულ შემთხვევაში კანონმდებლობა აკონკრეტებს, რომ სასამართლო განაჩენის აღსრულების გადავადების საკითხს განიხილავს მსჯავრდებულის, მისი ადვოკატის, კანონიერი წარმომადგენლის ან სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის შუამდგომლობით.

მძიმე ავადმყოფობის შემთხვევაში განაჩენის აღსრულების გადავადების საკითხის განხილვისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს პენიტენციურ დაწესებულებაში ჩატარებული/შესაძლებელი მკურნალობა, დაავადების მიმდინარეობა, სასჯელის აღსრულების მიზანშეწონილობა, მსჯავრდებულის პიროვნული თვისებები, მის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტი, დანაშაულის ხასიათი, მოტივი, მიზანი, დამდგარი შედეგი, დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკი, მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდისას გამოვლენილი ქცევა და სხვა გარემოებები, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს სასამართლოს გადაწყვეტილებაზე.[49]

სასამართლომ იმავე განაჩენით (განჩინებით) უნდა დაადგინოს მსჯავრდებულის ხარჯით ექსპერტიზის წელიწადში სულ მცირე ერთხელ ჩატარება და მსჯავრდებულის მიერ ექსპერტიზის დასკვნის წარდგენის პერიოდულობა. თუ მსჯავრდებული სასამართლოს შესაბამისი პერიოდულობით არ წარუდგენს ექსპერტიზის დასკვნას, სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას სასჯელის მოუხდელი ნაწილის მოსახდელად მსჯავრდებულის შესაბამის დაწესებულებაში დაბრუნების შესახებ.[50]

6.4. განაჩენის აღსრულების გადავადება ორსულობის გამო

განაჩენის აღსრულების გადავადების შესაძლებლობა არსებობს მაშინ, როცა მსჯავრდებული განაჩენის აღსრულების მომენტისათვის ორსულადაა, ან მშობიარობის შემდეგ 1 წლამდე.[51] ორსულობის საფუძვლით გადავადების შემთხვევაში, თუ მსჯავრდებული უარს იტყვის შვილზე ან თავს აარიდებს შვილის აღზრდას მას შემდეგ, რაც იგი გააფრთხილა პრობაციის ბიურომ, განაჩენის აღსრულების გადავადების გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შეუძლია ზეპირი მოსმენის გარეშე,

[48] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 283, ნაწ. პირველი, ქვეპ. „ა“.
[49] იქვე, მუხ.283, ნაწ. 1[2].
[50] იქვე, მუხ.283, ნაწ. 3.
[51]იქვე, მუხ. 283, ნაწ. 1, ქვეპ. „ბ“; სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 75.

განჩინებით, პრობაციის ბიუროს წარდგინებით გააუქმოს სასჯელის მოხდის გადავადება და მსჯავრდებული სასჯელის მოსახდელად გაგზავნოს განაჩენით დანიშნულ ადგილას.[52]

როდესაც მსჯავრდებულის შვილი 1 წლის ასაკს მიაღწევს, განაჩენის აღსრულების გადავადების გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე, განჩინებით ათავისუფლებს მსჯავრდებულს სასჯელის მოუხდელი ნაწილის მოხდისაგან ან სასჯელის მოუხდელ ნაწილს შეუცვლის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით, ანდა მიიღებს გადაწყვეტილებას სასჯელის მოუხდელი ნაწილის მოსახდელად მსჯავრდებულის შესაბამის დაწესებულებაში დაბრუნების შესახებ.[53]

ამ შემთხვევაშიც, სასამართლო განაჩენის აღსრულების გადავადების საკითხს განიხილავს მსჯავრდებულის, მისი ადვოკატის, კანონიერი წარმომადგენლის ან სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის შუამდგომლობით.

6.5. საპროცესო სამართლებრივი საკითხები

ვინაიდან სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლება ან გადავადება დაკავშირებულია განაჩენის აღსრულების საკითხთან, შუამდგომლობის განხილვის მიმართ, გარდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სპეციალური მუხლებისა (სსსკ-ის მუხლები 283, 284 და 291), ასევე მოქმედებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი ზოგადი ნაწილის მუხლები, განსახილველი საკითხის თავისებურებების გათვალისწინებით (როგორიცაა მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი, სასამართლოს მიუკერძოებლობა, შუამდგომლობების დაყენებისა და გადაწყვეტის პროცედურა და სხვ.).

როგორც ზოგად შემთხვევებში, მსჯავრდებულისთვის სასჯელის მოხდის გადავადების/გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობით საქმის არსებითი განხილვის ან სააპელაციო/საკასაციო საჩივრის განხილვის მიმდინარეობისას, შესაბამის სასამართლოს შესაძლოა მიმართონ მხარეებმა და სასამართლოს წარუდგინონ შესაბამისი მტკიცებულებები.

მას შემდეგ, რაც საქმეზე გამოტანილი იქნება საბოლოო გადაწყვეტილება, მსჯავრდებულს/მის ადვოკატს/კანონიერ წარმომადგენელს ან/და პენიტენციური სამსახურის გენერალურ დირექტორს შეუძლია, სასჯელის მოხდის გადავადების შესახებ შუამდგომლობით მიმართოს პირველი ინსტანციის სასამართლოს, რომელმაც გამოიტანა განაჩენი;[54] ხოლო სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობით მიმართოს პირველი ინსტანციის სასამართლოს, რომლის ტერიტორიული ქვემდებარეობის

[52] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 283, ნაწ. 5.
[53] იქვე, მუხ. 283, ნაწ. 6.
[54] იქვე, მუხ. 283, ნაწ. 2.

ტერიტორიაზეც განთავსებულია ის პენიტენციური დაწესებულება, სადაც მსჯავრდებული იხდის სასჯელს.[55]

პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინება შესაძლებელია გასაჩივრდეს შესაბამის სააპელაციო სასამართლოში, რომელიც საჩივარს განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე.[56] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სააპელაციო სასამართლოს მიერ ზეპირი მოსმენით, მხარეთა მონაწილეობით საჩივრის განხილვის შესაძლებლობას, მიუხედავად იმისა, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მტკიცებულებების გამოკვლევისას ჰქონდა თუ არა ადგილი კანონის დარღვევას.

ამასთან შუამდგომლობის/საჩივრის წარმომდგენ მხარეს, შუამდგომლობის/საჩივრის გადაწყვეტამდე შეუძლია გაითხოვოს შუამდგომლობა/საჩივარი.[57] ასეთ შემთხვევაში, შუამდგომლობა/საჩივარი სასამართლოს მიერ დატოვებულ იქნება განუხილველად. გარდა ამისა, შუამდგომლობა/საჩივარი განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული იმ შემთხვევაში, თუ იგი წარდგენილია არაუფლებამოსილი პირის მიერ ან დარღვეულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესი ან/და ვადა - როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესების დაუცველად განხორციელებული მოქმედების შედეგი.

ამასთან, საქმის არსებითი განხილვის ან/და სააპელაციო/საკასაციო საჩივრის განხილვის ეტაპისგან განსხვავებით, იმ მსჯავრდებულის მიმართ, რომლის მიმართაც გამოტანილია საბოლოო განაჩენი, სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების/გადავადების შუამდგომლობის განხილვაში არ მონაწილეობს პროკურორი.[58]

7. არსებული პრაქტიკა და გამოწვევები

სასამართლო პრაქტიკის შესწავლის შედეგად, გამოიკვეთა როგორც დადებითი ტენდენციები, ასევე ხარვეზები, როგორც მხარეების მიერ შუამდგომლობის დასაბუთებისა და მტკიცებულებების წარდგენის, ასევე სასამართლოს მიერ საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების გამოტანის დროს სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების დარღვევის შემთხვევები.

7.1. ექსპერტიზის ჩატარება შუამდგომლობის წარდგენამდე

კანონმდებლობით არ არის დადგენილი და არც საერთო სასამართლოებს აქვთ ერთიანი პრაქტიკა იმასთან დაკავშირებით, თუ შუამდგომლობის წარდგენამდე რა პერიოდით ადრე უნდა ჩაუტარდეს მსჯავრდებულს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა. თითქმის ყოველთვის, ექსპერტიზა ჩატარებულია სასამართლოსთვის მიმართვამდე მცირე ხნით

[55] იქვე, მუხ. 284, ნაწ. 5.
[56] იქვე, მუხ. 291, ნაწ. 1.
[57] იქვე, მუხ. 93, ნაწ. 3; მუხ. 95, ნაწ. 8; მუხ. 295, ნაწ. 8.
[58] იქვე, მუხ. 291, ნაწ. 2.

ადრე. თუმცა არის რამდენიმე შემთხვევა, როდესაც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა ჩატარებული იყო რამდენიმე თვის, ან ერთი წლის წინ პერიოდში. ამასთან, ერთ შემთხვევაში სასამართლომ მიუთითა, რომ ექსპერტიზა ჩატარებული იყო დიდი ხნის წინ და არ ასახავდა მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობას შუამდგომლობის განხილვის დროისთვის.[59] სასამართლო განჩინებაში ასევე მსჯელობს და მხედველობაში იღებს წინა წლებში ჩატარებული ექსპერტიზების დასკვნებსაც.[60]

სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა ხუთ (აქედან ორ შემთხვევაში - ერთი მსჯავრდებულის მიმართ) შემთხვევაში დანიშნა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა და აქედან მხოლოდ ერთ შემთხვევაში მიმართა სასამართლოს შუამდგომლობით მსჯავრდებულის სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლების შესახებ. სხვა შემთხვევებში, სასჯელის მოხდის გადავადების შუამდგომლობით სასამართლოსთვის მიმართვა მსჯავრდებულებს მოუწიათ. [61]

ასევე, **მოქმედი კანონმდებლობა არ განსაზღვრავს სპეციალური პენიტენციური სამსახურის ვალდებულებას - მიმართოს სასამართლოს სასჯელის გადავადების მექანიზმის გამოყენების მიზნით, იმ პირობებში, როდესაც სამედიცინო ექსპერტიზა თავად პენიტენციური სამსახურის დანიშნული და ჩატარებულია, და ექსპერტიზის დასკვნით დასტურდება მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა.** მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ პენიტენციურ სამსახურს გააჩნია სრული ინფორმაცია მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და სამედიცინო ექსპერტიზა მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა ჩაატაროს, თუ მიიჩნევს, რომ მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, ხელი ეშლება მის მიერ სასჯელის მოხდას და ამასთანავე, მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით შესაძლებელია მისთვის სასჯელის მოხდის გადავადება.[62] შესწავლილი მასალებიდან კი იკვეთება, რომ სამედიცინო ექსპერტიზას ატარებს პენიტენციური სამსახური, ხოლო დასკვნის საფუძველზე სასამართლოს, როგორც წესი, აღარ მიმართავს და ამ ექსპერტიზის დასკვნის გამოყენებით სასამართლოსთვის მიმართვა უხდება მსჯავრდებულს.[63] უფრო მეტიც, ყურადსაღებია, რომ მსჯავრდებულის მითითებული შუამდგომლობები სასამართლოს

---

[59] 2016 წლის 28 ივნისის ბათუმის საქალაქო სასამართლოს განჩინება, საქმე N9-2/16; 2016 წლის 1 აგვისტოს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, საქმე N6[1]/ა-21-2016წ.

[60] მცხეთის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 20 ნოემბრის განჩინება N6703-19; ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 25 თებერვლის განჩინება, საქმე N1-20 (სასამართლოს მიერ არ დაკმაყოფილდა შუამდგომლობა სასჯელის მოხდისგან გათავისუფლების შესახებ იმ მსჯავრდებულის მიმართ, რომლის მიმართაც უკვე გამოყენებული იყო სასჯელის მოხდის გადავადება).

[61] გასათვალისწინებელია, რომ საქმის მასალებიდან არ იკვეთება, რომ პენიტენციური სამსახურის მიერ სასამართლოსთვის მიმართვისგან თავის შეკავების მიზეზი იყო ის გარემოება, რომ ექსპერტიზის მიერ გაცემული დასკვნით არ იყო დაკმაყოფილებული სასჯელის გადავადების/გათავისუფლების კრიტერიუმი, მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა, რაც ხელს უშლის სასჯელის მოხდას.

[62]წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ პენიტენციური სამსახური დაუშვებლად მიიჩნევს მსჯავრდებულისთვის განაჩენის აღსრულების გადავადებას/გათავისუფლებას, სახელმწიფოს არ უნდა უწევდეს ექსპერტიზის ხარჯების გაღება.

[63] სასამართლოს მიერ მსჯავრდებულების შუამდგომლობა დაკმაყოფილდა.

მიერ დაკმაყოფილებულ იქნა. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებული არ მიმართავდა სასამართლოს, მის მიმართ არ იქნებოდა გამოყენებული კანონით გათვალისწინებული შეღავათი, მიუხედავად იმისა, რომ დადასტურდა ფაქტი მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის შესახებ, რაც ხელს უშლიდა სასჯელის მოხდას და რაც არ გამოიყენა პენიტენციურმა სამსახურმა.

როგორც აღინიშნა, მსჯავრდებულს, რომლის მიმართ გამოყენებულია სასჯელის მოხდის გადავადება ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო, ეკისრება ვალდებულება საკუთარი ხარჯით ჩაიტაროს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა და წარუდგინოს სასამართლოს დასკვნა წელიწადში ერთხელ მაინც. შესწავლილი მასალების თანახმად, მსჯავრდებულები ხშირ შემთხვევებში მიუთითებენ მძიმე მატერიალურ მდგომარეობაზე, რის გამოც მათთვის რთულია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების ხარჯების ანაზღაურება და ითხოვენ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა ჩატარდეს სახელმწიფოს ხარჯზე ან/და გათავისუფლდნენ სასჯელის მოხდისაგან.

საქმეების შესწავლისას მხოლოდ ერთხელ დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც მსჯავრდებულმა ან ადვოკატმა მიმართა ადმინისტრაციულ ორგანოს/სასამართლოს, რათა სახელმწიფოს ხარჯით ჩატარებულიყო სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა. სასამართლომ დააკმაყოფილა მსჯავრდებულის შუამდგომლობა სახელმწიფოს ხარჯით სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების შესახებ.[64] ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ უმეტეს შემთხვევაში მსჯავრდებულები საკუთარი ხარჯით იტარებენ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზას.

მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს შემთხვევებს, როდესაც მსჯავრდებულის სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების ხარჯები შეიძლება აანაზღაუროს სახელმწიფომ. მსჯავრდებულს, რომლის მიმართაც გამოყენებულია სასჯელის მოხდის გადავადება ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, კანონი ავალდებულებს, საკუთარი ხარჯით ჩაიტაროს სამედიცინო ექსპერტიზა სასამართლოს მიერ დადგენილ პერიოდებში.[65] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ხარჯების სახელმწიფოს მიერ ანაზღაურების შესაძლებლობას მხოლოდ გადახდისუუნარო ბრალდებულისთვის, თუ ეს ხარჯები პირდაპირაა დაკავშირებული დაცვის უფლების განხორციელებასთან.[66] მისასალმებელია ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ სახელმწიფოს ხარჯზე სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების შესაძლებლობის მიცემა გადახდისუუნარო მსჯავრდებულისთვის, რომლის მიმართაც გამოყენებული იყო ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო სასჯელის მოხდის გადავადება, მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ცალსახად მსჯავრდებულს აკისრებს ყოველწლიურად ექსპერტიზის ჩატარების ხარჯების გაღებას.[67]

---

[64] ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 24 მაისის საოქმო განჩინება №1/446.
[65] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 283, ნაწ. 3.
[66] იქვე, მუხ. 46, ნაწ. 4.
[67] იქვე, მუხ. 283, ნაწ. 3.

ამასთან, ვინაიდან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ცალსახად არ ითვალისწინებს უფლებების განხორციელებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების სახელმწიფოს მიერ ანაზღაურების შესაძლებლობას, მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნული შესაძლებლობის, გარემოებებისა და პროცედურის საკანონმდებლო ნორმებით მოწესრიგება.

დამატებით აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ განჩინებაში, ბათუმის საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ მსჯავრდებულის მძიმე ავადმყოფობა, რაც ხელს უშლის სასჯელის მოხდას, დადასტურებული უნდა იყოს მხოლოდ სახელმწიფო სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, რაც მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის და მხარეს თავისი შეხედულებით შეუძლია აირჩიოს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩამტარებელი ორგანო. იმავე საქმეში, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ დაცვის მხარის მიერ წარდგენილი დამოუკიდებელი ექსპერტიზის ორგანოს დასკვნა და სახელმწიფო სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა ერთნაირი ძალის მტკიცებულებად მიიჩნია.

7.2. შუამდგომლობის წარდგენა

7.2.1. არაგანსჯადი სასამართლოსთვის მიმართვა

შესწავლილი მასალების თანახმად, **რიგ შემთხვევებში მხარეები შუამდგომლობით არაგანსჯად სასამართლოს მიმართავენ.** რამდენიმე საქმეში მხარეებმა გადავადების შესახებ შუამდგომლობა წარადგინეს მსჯავრდებულის სასჯელის მოხდის ადგილის მიხედვით, მაშინ, როდესაც შუამდგომლობა ექვემდებარებოდა განაჩენის გამომტან სასამართლოს. რამდენიმე შემთხვევაში მსჯავრდებულმა სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობით მიმართა განაჩენის გამომტან სასამართლოს, როდესაც შუამდგომლობა ექვემდებარებოდა იმ სასამართლოს, რომლის განსჯადობის ტერიტორიაზეც არის განთავსებული მსჯავრდებულის პენიტენციური დაწესებულება.[68]

ასევე არის შემთხვევები, როდესაც მსჯავრდებული, რომელსაც სასჯელის მოხდა გადავადებული აქვს და არ იმყოფება სასჯელის მოხდის დაწესებულებაში, სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობით მიმართავს განაჩენის გამომტან სასამართლოს. ასეთ შემთხვევებში პრობლემას წარმოადგენს ის გარემოება, რომ მსჯავრდებული არ იმყოფება სასჯელის მოხდის დაწესებულებაში, შესაბამისად, **სასამართლოს ტერიტორიული განსჯადობის საკითხი კანონით დაურეგულირებელია.**

საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს იმ მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებას, რომლის მიმართაც უკვე გამოყენებულია სასჯელის მოხდის გადავადება მძიმე ავადმყოფობის გამო. თუმცა, შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ

[68] იქვე, მუხ. 283, ნაწ. 1.

სასამართლოს სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობით მიმართავენ ის მსჯავრდებულებიც, რომელთა მიმართაც უკვე გამოყენებულია განაჩენის აღსრულების გადავადება. ამასთან, საერთო სასამართლოებს აღნიშნულ შუამდგომლობებთან მიმართებით განსხვავებული პრაქტიკა აქვთ და დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც სასამართლომ დააკმაყოფილა ასეთი მსჯავრდებულის შუამდგომლობა სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების შესახებ. სასურველია, საპროცესო კოდექსით განისაზღვროს ასეთ შემთხვევაში შუამდგომლობის განმხილველი სასამართლოს განსჯადობა.

7.2.2. შუამდგომლობის დასაბუთების პრობლემა

სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების/გადავადების შესახებ სასამართლოსთვის შუამდგომლობით მიმართვის დროს, **მხარე (ძირითადად მსჯავრდებული ან ადვოკატი) შუამდგომლობაში დეტალურად არ განიხილავს და არ წარადგენს მტკიცებულებებს იმის შესახებ, თუ რა გარემოებები არსებობს, რომელიც სასამართლომ გადაწყვეტილების მიღების დროს უნდა გაითვალისწინოს.** არც ერთ შემთხვევაში არ დაფიქსირებულა დამატებითი სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების მოთხოვნა.[69]

არის შემთხვევები, როდესაც, შუამდგომლობაში მხოლოდ მითითებულია ასეთი გარემოებების არსებობის შესახებ,[70] თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, ამ გარემოებების დამამტკიცებელი რაიმე დოკუმენტი წარდგენილი არ არის და არც მოწმეების დაკითხვას ითხოვს შუამდგომლობის წარმდგენი აღნიშნულის დამადასტურებლად.

ციხის თანამშრომლების, ფსიქოლოგის, სოციალური მუშაკის და სხვა პატიმრების დაკითხვის შუამდგომლობა ამა და ამ წლების საქმეებში საერთოდ არ დაფიქსირებულა. პენიტენციური დაწესებულების მიერ მსჯავრდებულის დახასიათებას ან/და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ სამედიცინო ბარათს ძირითადად პენიტენციური დეპარტამენტის წარმომადგენელი წარადგენს. პირად საქმეს, ზოგ შემთხვევაში კი - სამედიცინო ისტორიას, განაჩენებსა და ბრალდების საქმის სრულ მასალებსაც კი, ითხოვს თავად სასამართლო.

7.2.3. არარელევანტური დოკუმენტაციის წარდგენა

მსჯავრდებულის გათავისუფლების/გადავადებისთვის გადაწყვეტილების მისაღებად საპროცესო კანონმდებლობა მოითხოვს მსჯავრდებულის მძიმე ავადმყოფობას, რაც ხელს

---

[69] იქვე, მუხ. 284, ნაწ. 6.

[70] მსჯავრდებულის პიროვნება, ქცევა პენიტენციურ დაწესებულებაში, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახის წევრებისა და ახლო ნათესავების მძიმე მდგომარეობა, დაზარალებულის დამოკიდებულება შეღავათის გამოყენების მიმართ.

უშლის სასჯელის მოხდას.[71] მიუხედავად კანონის იმპერატიული მოთხოვნისა, დაცვის მხარის მიერ წარდგენილი შუამდგომლობებითა და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით ხშირად არ დგინდება, რომ მსჯავრდებული მძიმე ავადმყოფია, და ამავდროულად მისი ავადმყოფობა ხელს შეუშლის სასჯელის მოხდას.

აღსანიშნავია, რომ **სხვადასხვა ექსპერტიზის მიერ ჩატარებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნებში კითხვაზე, ხელს უშლის თუ არა მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა მის მიერ სასჯელის მოხდას, ექსპერტები ზოგ შემთხვევაში აღნიშნავენ, რომ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა არ შედის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის კომპეტენციაში,[72] ხოლო სხვა ექსპერტების მიერ აღნიშნულ საკითხზე დადებითი პასუხია გაცემული,** რაც ექსპერტის მიერ დადასტურებულია სასამართლოს წინაშე დაკითხვის დროსაც.

რამდენიმე შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ შუამდგომლობის განსახილველად აუცილებელია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება, მხარემ სასამართლოს წარუდგინა მხოლოდ სამედიცინო ისტორია, რაც ვერ გახდებოდა სასამართლოს მსჯელობისა და შეფასების საგანი.[73] გარდა ამისა, ზოგიერთ შემთხვევაში მსჯავრდებულმა/ადვოკატმა სასამართლოს ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო სასჯელის მოხდის გადავადების შესახებ შუამდგომლობით მიმართა სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, რაც სასამართლოს მიერ არ დაკმაყოფილდა და სასამართლომ აღნიშნა, რომ ასეთ შემთხვევაში გამოიყენება არა სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლება/გადავადება, არამედ არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული მკურნალობა. სასამართლოს შეფასება შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან, ვინაიდან, „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონი ფსიქიკური აშლილობის მქონე მსჯავრდებულის მიმართ ითვალისწინებს არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული მკურნალობის გამოყენების ვალდებულებას, ხოლო გამოჯანმრთელების შემდეგ - სასჯელის მოხდას საერთო წესით.[74]

---

[71] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 283.

[72] მაგ. სსიპ ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტები.

[73] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, სასჯელის მოხდის გადავადების/გათავისუფლების საკითხის განხილვის საფუძველი შეიძლება იყოს სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა.

[74] „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „თუ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყები დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის (შემდგომში - პენიტენციური სამსახური) პენიტენციურ დაწესებულებაში (შემდგომში - პენიტენციური დაწესებულება) მოთავსებულ მსჯავრდებულს, რომლის მიმართაც დასრულებულია სამართალწარმოება, აღენიშნება ფქსიქიკური აშლილობის ნიშნები, პენიტენციური დაწესებულების დირექტორი პენიტენციური სამსახურის ფსიქიატრიული კომისიის დასკვნის საფუძველზე მიმართავს უფლებამოსილ საექსპერტო დაწესებულებას სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარებისთვის. თუ უფლებამოსილი საექსპერტო დაწესებულების დასკვნით დასტურდება არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების გაწევის აუცილებლობა, პენიტენციური დაწესებულების დირექტორი ვალდებულია უფლებამოსილი საექსპერტო დაწესებულების დასკვნის საფუძველზე მიმართოს სასამართლოს არანებაყოფლობითი სტაციონარული

მხარეთა შუამდგომლობებს, უმეტეს შემთხვევაში, დამადასტურებელი მტკიცებულებები სრულყოფილად არ ერთვის. უმეტეს შემთხვევებში შუამდგომლობასთან ერთად სასამართლოს წარედგინება სასამართლო-სამედიცინო დასკვნა, თუმცა სხვა მასალები წარდგენილი არ არის.[75] მხარე სასამართლოზე ხშირ შემთხვევაში ითხოვს მხოლოდ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტებისა და პენიტენციური დაწესებულების ექიმების დაკითხვას, თუმცა სხვა პირების დაკითხვის მოთხოვნა არ გვხვდება.[76] ასევე, უმეტეს შემთხვევაში, არ არის წარდგენილი სხვა შესაძლო მტკიცებულებები,[77] რაც სასამართლოს დაეხმარებოდა მსჯავრდებულის მიმართ გადაწყვეტილების მიღებისას სხვა გარემოებების განხილვაში და გადაწყვეტილების მიღებაში.

მნიშვნელოვანია, რომ როდესაც პატიმრის გათავისუფლების ან მისი სასჯელის აღსრულების გადავადების საკითხის განხილვა ხდება, სასამართლოს ხელი მიუწვდებოდეს სრულფასოვან ინფორმაცია/დოკუმენტაციაზე და ამაში, სისხლის სამართლის პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპის გათვალისწინებით, გადამწყვეტია მხარეების მხრიდან შუამდგომლობასთან ერთად ყველა რელევანტური მასალის, არგუმენტაციისა და მოთხოვნის სწორად და ამომწურავად მიწოდება. ეს ხელს შეუწყობს სასამართლოს დაინახოს სრული სურათი და მიიღოს რელევანტური გადაწყვეტილება.

7.3. შუამდგომლობის განხილვა

7.3.1. სასამართლოს მიერ პირადი საქმისა და სამედიცინო ისტორიის გამოთხოვა

სასამართლოსთვის შუამდგომლობით მიმართვას, როგორც წესი, თან ერთვის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა. მიუხედავად იმისა, რომ საქმის განხილვა უნდა წარიმართოს მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით[78] და სასამართლოს არ აქვს საკუთარი ინიციატივით მტკიცებულებების მოპოვებისა და გამოკვლევის უფლება,[79] მოსამართლეები ხშირად ითხოვენ პენიტენციური დაწესებულებიდან მსჯავრდებულის პირად საქმესა და სამედიცინო ბარათს. ამასთან,

---

ფსიქიატრიული დახმარების გაწევის შესახებ. სასამართლო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იღებს გადაწყვეტილებას არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების გაწევის თაობაზე მსჯავრდებულის გამოჯანმრთელებამდე, რომლის შემდეგაც მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდა გაგრძელდება საერთო წესით".

[75] განაჩენი, პირადი საქმე. ამასთან მასალებით იკვეთება, რომ მხარეს არც კი უცდია ასეთი მასალების მოპოვება და სასამართლოსთვის წარდგენა.

[76] მაგ. სხვა პატიმრები, პენიტენციური დაწესებულების კონტროლიორები, სოციალური მუშაკები. აღნიშნულმა პირებმა შესაძლოა სასამართლოს მიაწოდონ ინფორმაცია მსჯავრდებულის ყოველდღიური საყოფაცხოვრებო პირობებისა და მდგომარეობის შესახებ.

[77] რამდენიმე შემთხვევაში გვხვდება მხოლოდ პირის მეზობლების (დანაშაულის ჩადენამდე), სასულიერო პირის მიერ დახასიათება.

[78] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 9.

[79] იქვე, მუხ. 25, ნაწ. 2.

გაურკვეველია, ხდება თუ არა ზეპირი მოსმენის სხდომაზე სასამართლოს მიერ გამოთხოვილი დოკუმენტაციის მხარეების მონაწილეობით გამოკვლევა.

მართალია, მსჯავრდებულის სამედიცინო ისტორია, პირადი საქმე, განაჩენი ან/და ბრალდების საქმე, შეიძლება შეიცავდეს სასამართლოსთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, თუმცა ეს მასალები მხარემ უნდა წარადგინოს. ვინაიდან ამ საკითხს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არეგულირებს, მისი განხილვა მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის ზოგადი პრინციპების დაცვით უნდა მოხდეს. განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მასალების გამოთხოვა კი ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობას და ქმნის არაერთგვაროვანი პრაქტიკის განვითარების საფრთხეს.

სხვაგვარად, სასამართლოს ინიციატივით მასალების მოპოვება შესაძლოა მსჯავრდებულის წინააღმდეგ იქნას გამოყენებული. სასამართლომ გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს სამედიცინო ისტორიის ჩანაწერების, პირად საქმეში არსებული ინფორმაციისა ან/და წინა ნასამართლობის გათვალისწინებით და არსებითი მნიშვნელობა არ მიანიჭოს მხარის მიერ წარდგენილ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნას, ან სხდომაზე მხარეების მონაწილეობით გამოკვლეულ მტკიცებულებებს. ასეთ შემთხვევაში რომელიმე მხარე არათანასწორ მდგომარეობაში აღმოჩნდება და მიღებული გადაწყვეტილება სრულად არ დაეფუძნება მხარეთა მიერ წარდგენილ ინფორმაციას. თუკი კანონმდებლის ნებაა მოსამართლისთვის გარკვეული ინკვიზიციური უფლებამოსილების მინიჭება, აღნიშნული მკაფიოდ უნდა იყოს გაწერილი კანონმდებლობით და აძლევდეს მხარეს მასზე შეპასუხების შესაძლებლობას.

7.3.2. ზეპირი მოსმენა

შესწავლილი მასალების თანახმად, შუამდგომლობა ძირითადად განიხილება ზეპირი მოსმენით, მხარეთა მონაწილეობით. შუამდგომლობის განხილვაში, თითქმის ყოველთვის, მონაწილეობას იღებს სპეციალური პენიტენციური სამსახურის წარმომადგენელი,[80] რაც კანონისმიერი ვალდებულებაა.[81] თუმცა, პრაქტიკის ანალიზმა ცხადყო, რომ პენიტენციური სამსახურის, მხარის სტატუსით პროცესში ჩართულობას, აქვს მხოლოდ ფორმალური ხასიათი და იგი არ წარმოადგენს არგუმენტირებულ პოზიციას პატიმრის გათავისუფლების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით.

ამასთან, მოქმედი კანონმდებლობით, სასჯელის მოხდისაგან მსჯავრდებულის გათავისუფლების/გადავადების საკითხის განხილვის სხდომაში პროკურორის მონაწილეობა არ არის გათვალისწინებული.[82] მიუხედავად ამისა, 2018 წელს რუსთავის

[80] გამონაკლისია ერთ-ერთი საქმე, რომელიც განიხილა ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ.
[81] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 283 და 284.
[82] იქვე, მუხ. 291, ნაწ. 2.

საქალაქო სასამართლოს მიერ განხილულ 3 საქმეში და გორის რაიონული სასამართლოს მიერ განხილულ 1 საქმეში სასამართლომ სხდომაში მონაწილეობის მისაღებად მიმართა პროკურატურას და სხდომა ჩატარდა პროკურორის მონაწილეობით, რომელმაც წარმოადგინა პოზიცია შუამდგომლობასთან დაკავშირებით.[83]

7.4. შუამდგომლობის გადაწყვეტა

7.4.1. გადაწყვეტილების მიღება განსჯადობის დარღვევით

თუ მხარე შუამდგომლობით არაგანსჯად სასამართლოს მიმართავს, საპროცესო კოდექსი სასამართლოს ავალდებულებს, საქმე გადასცეს განსჯად სასამართლოს.[84] მიუხედავად ამისა, რუსთავის საქალაქო სასამართლომ თავად განიხილა ერთი შუამდგომლობა და მსჯავრდებულს უარი უთხრა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. ხოლო სხვა საქმეში, თბილისის საქალაქო სასამართლომ ადვოკატს მასალები დაუბრუნა მიმართვით, რომ სხვა სასამართლოს განსჯადი იყო საქმე და თავად არ გადაუგზავნია განჩინებით შესაბამისი სასამართლოსთვის.
შესაბამისად, მასალების შესწავლის შედეგად სასამართლოს მიერ ადგილი ჰქონდა არაგანსჯადი შუამდგომლობის განხილვას ან განუხილველად დაბრუნებას, მაშინ, როდესაც იგი ვალდებული იყო, შუამდგომლობა გადაეცა განსჯადი სასამართლოსთვის.

7.4.2. არაერთგვაროვანი პრაქტიკა მსჯავრდებულის გათავისუფლებასთან მიმართებით და განმეორებითი ექსპერტიზები

პირველი ინსტანციის სასამართლოებს არ აქვთ ერთიანი პრაქტიკა იმასთან დაკავშირებით, გათავისუფლდეს თუ არა მსჯავრდებული სასჯელის მოხდისაგან მაშინ, როდესაც მის მიმართ სასამართლოს მიერ უკვე გადავადებულია სასჯელის მოხდა და იგი პენიტენციურ დაწესებულებაში არ იმყოფება.

მაგალითისთვის, ბათუმის საქალაქო სასამართლო არ ათავისუფლებს მსჯავრდებულს სასჯელის მოხდისაგან იმ საფუძვლით, რომ იგი არ იმყოფება პენიტენციურ დაწესებულებაში და განხილვის ეტაპზე არ ხდება სასჯელის აღსრულება (ანუ ფაქტობრივად ხელი არ ეშლება სასჯელის მოხდას). იგი სასჯელის მოხდისაგან მსჯავრდებულის გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთვის არსებითად მიიჩნევს მსჯავრდებულის ყოფნას პენიტენციურ დაწესებულებაში.

ქუთაისისა და თბილისის საქალაქო სასამართლოებში კი გვხვდება განჩინებები,[85] რომლითაც დაკმაყოფილდა მხარის შუამდგომლობა და მსჯავრდებული, რომლის მიმართაც უკვე გამოყენებული იყო სასჯელის მოხდის გადავადება, გათავისუფლდა

[83] მოცემული საქმეები ეხება განაჩენის გამოტანის შემდეგ განხილულ შუამდგომლობებს.
[84] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 21, ნაწ. 5.
[85] ქუთაისის საქალაქო სასამართლო, საქმე №080140519003100407 (№6/ა-13-19წ), განჩინება: 23.07.2019 წ.; თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე №678/26186, განჩინება: 09.10.2019წ.

სასჯელის მოხდისაგან ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობისა და გაუმჯობესების შეუძლებლობის გამო. სასამართლომ ასევე გაითვალისწინა მინისტრის ბრძანებაში[86] მითითებულ დაავადებათა ჩამონათვალი და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების ხარჯების მატერიალური მნიშვნელობა მსჯავრდებულის ოჯახისთვის.

თბილისის საქალაქო სასამართლოში ასევე გვხვდება განჩინებები, რომლითაც არ დაკმაყოფილდა დაცვის მხარის შუამდგომლობა და მსჯავრდებული არ გათავისუფლდა სასჯელის მოხდისაგან, ვინაიდან მას უკვე გადავადებული ჰქონდა სასჯელის მოხდა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო და არ იმყოფებოდა პენიტენციურ დაწესებულებაში.

კანონმდებლობით ეს საკითხი მკაფიოდ რეგულირებული არ არის. **საპროცესო კოდექსი სასამართლოს მკაფიოდ არ ანიჭებს უფლებამოსილებას ხანდაზმულობის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მსჯავრდებული გაათავისუფლოს სასჯელის მოხდისაგან,[87] რასაც ადგილი შეიძლება ჰქონდეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც მსჯავრდებულის მიმართ უკვე გამოყენებულია სასჯელის მოხდის გადავადება, იგი არ იმყოფება პენიტენციურ დაწესებულებაში და მის მიმართ შუამდგომლობის განხილვის დროისთვის არ ხდება სასჯელის აღსრულება.**

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ, **იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაში მითითებულია, რომ მსჯავრდებულის მდგომარეობა მძიმეა და მისი გაუმჯობესების პერსპექტივა არ არის, წელიწადში ერთხელ სასამართლოსთვის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის წარდგენას მხოლოდ ფორმალური მნიშვნელობა აქვს და რაიმე არსებითი ხასიათის მტკიცებულება ვერ გახდება. მსჯავრდებულს უსაფუძვლოდ უწევს აღნიშნული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების ხარჯების გაწევა, რაც შეიძლება მისთვის მატერიალურად იყოს მძიმე ტვირთი.** ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საექსპერტო კვლევისთვის აუცილებელია მასზე სტაციონარის პირობებში დაკვირვების განხორციელება და მისი გადაადგილება დამატებითი ღონისძიებების განხორციელებას საჭიროებს, ასევე გაუმართლებელი იქნება გარკვეული ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირებისთვის დამატებითი ფიზიკური გადაადგილების ვალდებულების დაკისრებაც. მით უფრო, რომ საექსპერტო დაწესებულება ყველა ქალაქსა თუ რეგიონში არ არის.

საპროცესო კოდექსი მსჯავრდებულს, მის მიმართ სასჯელის მოხდის გადავადების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ავალდებულებს წელიწადში ერთხელ მაინც ჩაიტაროს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა და წარუდგინოს სასამართლოს.[88] შესწავლილი მასალების მიხედვით, თითქმის ყველა შემთხვევაში, ექსპერტიზის ჩატარებისა და წარდგენის ვადად სასამართლო ერთ წელს ადგენს. მხოლოდ ერთ

[86] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 15 თებერვლის №01-6/ნ ბრძანება.
[87] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 284.

შემთხვევაში დაევალა მსჯავრდებულს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება და წარდგენა ექვს თვეში ერთხელ, წელიწადში ორჯერ.

უმრავლეს შემთხვევაში მსჯავრდებულები ამ მოთხოვნას ასრულებენ. ამასთან, მსჯავრდებულები დამატებით შუამდგომლობენ სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების თაობაზეც, ვინაიდან მათი განმარტებით, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება ყოველწლიურად დაკავშირებულია მატერიალურ ხარჯებთან, რაც მსჯავრდებულისა და მისი ოჯახისათვის მძიმე ეკონომიკური ტვირთია.

აღნიშნული საფუძველი გაითვალისწინა ქუთაისის საქალაქო სასამართლომ და მსჯავრდებული გაათავისუფლა სასჯელის შემდგომი მოხდისაგან, მიუხედავად იმისა, რომ იგი არ იმყოფებოდა პენიტენციურ დაწესებულებაში. სამ შემთხვევაში სასამართლომ განიხილა მსჯავრდებულის მიერ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის დადგენილ ვადაში წარუდგენლობის საკითხი და მიიღო გადაწყვეტილება მსჯავრდებულის სასჯელის შემდგომი მოხდის მიზნით პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსების შესახებ. ყველა შემთხვევაში დაცვის მხარე მიუთითებდა, რომ მათ მატერიალური მდგომარეობის გამო ვერ შეძლეს ექსპერტიზის ჩატარება.

ერთ საქმეში, მსჯავრდებულმა მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, რომ მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო ვერ ჩაიტარა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, იყო ხანდაზმული და არ შეეძლო გადაადგილება არც პირადად მას და არც მისი ოჯახის წევრებს. განცხადებას თან ერთვოდა სოციალურად დაუცველობის დამადასტურებელი დოკუმენტი. მსჯავრდებული ითხოვდა ექსპერტიზის ჩატარებას სახელმწიფოს ხარჯით.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა მსჯავრდებულის შუამდგომლობა სახელმწიფოს ხარჯზე სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების შესახებ.[89] სასამართლომ გაითვალისწინა მსჯავრდებულის მძიმე მატერიალური მდგომარეობა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის დანაწესი, რომლის მიხედვით, სახელმწიფო გაიღებს დაცვისთვის საჭირო სხვა ხარჯებსაც, თუ ეს ხარჯები პირდაპირაა დაკავშირებული ბრალდებულის მიერ დაცვის განხორციელებასთან.[90]

ორ შემთხვევაში განჩინებაში მიეთითა, რომ მსჯავრდებულის მიმართ წინა წლებში იყო გაუქმებული სასჯელის მოხდის გადავადების შესახებ განჩინება ექსპერტიზის დასკვნის დადგენილ ვადაში წარუდგენლობის გამო.

ერთ-ერთ საქმეში, მსჯავრდებულს, რომლის მიმართაც სასჯელის მოხდა გადავადებული იყო ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო და ევალებოდა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დადგენილი დროისთვის სასამართლოში წარდგენა, გორის რაიონულ სასამართლოს მსჯავრდებულის ადვოკატმა მიმართა შუამდგომლობით კონკრეტული

გარემოებების საფუძველზე[91] სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის დადგენილ ვადაში წარუდგენლობა ჩათვლილიყო საპატიოდ და საკითხის განხილვა გადაედოთ მსჯავრდებულის მიერ საქართველოში დაბრუნებისა და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ. აღნიშნული გარემოებები გაითვალისწინა სასამართლომ და ადვოკატის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა.

7.4.3. გადაწყვეტილების დასაბუთება

სასამართლოს განჩინებები ძირითადად დასაბუთებულია და ნათელია, თუ რა გარემოებები იქნა მნიშვნელოვნად მიჩნეული გადაწყვეტილების მიღებისთვის. მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების/გადავადების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული ძალადობრივი დანაშაულის ჩადენას, დამდგარ შედეგსა და მსჯავრდებულის მიმართ უკვე გამოყენებულ სხვა შეღავათებს (ამნისტია, შეწყალება, საპროცესო შეთანხმება) ექცევა.

სასამართლოები ძირითადად ითვალისწინებენ მსჯავრდებულის წინა ნასამართლობებს. ამასთან, რამდენიმე შემთხვევაში, ქალი მსჯავრდებულების მიმართ, რომლებიც მსჯავრდებულები იყვნენ არაძალადობრივი ქონებრივი დანაშაულის ჩადენისთვის[92] და წარსულშიც ანალოგიური დანაშაულისათვის იყვნენ ნასამართლევები,[93] სასამართლომ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა და სასჯელის მოხდა გადაავადა. სასამართლო ასევე აფასებს ახალი დანაშაულის ჩადენის რისკებს, თუმცა, რა კონკრეტული გარემოებების გაითვალისწინა, განჩინებაში ამას არ უთითებს.

7.4.4. სამართალწარმოება სააპელაციო სასამართლოში

შესწავლილი საქმის მასალების თანახმად, **გასაჩივრების ვადას ძირითადად დაცვის მხარე არღვევს, თუმცა, ამის მიზეზი მსჯავრდებულებისთვის განჩინების დაგვიანებით ჩაბარებაა.** ასეთ შემთხვევებში, მსჯავრდებულისთვის გაგზავნილ მიმართვაში სააპელაციო სასამართლო განმარტავს გაშვებული ვადის აღდგენის შესაძლებლობას, რითიც მსჯავრდებულები სარგებლობენ. სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა სააპელაციო საჩივარს განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე.[94]

---

[92] ერთ შემთხვევაში - თაღლითობა, ორ შემთხვევაში - ქურდობა.

[93] ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილულ შემთხვევაში, მსჯავრდებული იყო პირობითი მსჯავრის ქვეშ; გორის რაიონული სასამართლოს შემთხვევაში, მსჯავრდებული წარსულშიც ანალოგიური დანაშაულისთვის იყო ნასამართლევი; ხოლო ახალციხის რაიონული სასამართლოს შემთხვევაში - მსჯავრდებულს წარდგენილი ჰქონდა ახალი ბრალდება ანალოგიური დანაშაულისათვის მას შემდეგ, რაც მის მიმართ გამოყენებული იყო სასჯელის მოხდის გადავადება.

[94] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 291, ნაწ. 1.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში ადვოკატი საჩივრით ითხოვდა ასევე მტკიცებულებების გამოკვლევას, ვინაიდან მისი მოსაზრებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ შუამდგომლობის განხილვის დროს დაცვის მხარის მტკიცებულებების გამოკვლევა განხორციელდა კანონის მოთხოვნათა დარღვევით და ასევე იყო გარემოება, რომელიც პირველი ინსტანციის სასამართლოს განხილვის დროს საქმეზე დართული არ იყო (დამატებითი კითხვა ექსპერტს, რაც გამომდინარეობდა განჩინებიდან). ვინაიდან სააპელაციო საჩივარი წარდგენილი იყო გასაჩივრების ვადის დარღვევით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საჩივარი არ განუხილავს და შესაბამისად, არც მტკიცებულებების დასაშვებობისა და გამოკვლევის საკითხზე უმსჯელია. ამ საკითხს კანონმდებლობა არ არეგულირებს, რის გამოც გაურკვეველია, როგორ წყდება პრაქტიკით ახალი მტკიცებულებების გამოკვლევის საკითხი სააპელაციო სასამართლოს მიერ სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების/გადავადების საქმეებზე.

შესაბამისად, **ხარვეზიანი საკანონმდებლო რეგულირების გამო, პრაქტიკაში სააპელაციო საჩივრის განხილვისას მხარეები მოკლებული არიან შესაძლებლობას უშუალოდ გამოიკვლიონ ის მტკიცებულებები, რაც პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოკვლეულ იქნა კანონის არსებითი დარღვევით ან წარმოადგენს ახალ მტკიცებულებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოც მოკლებულია შესაძლებლობას, სრულყოფილად განიხილოს და შეაფასოს ასეთი მტკიცებულებები.**[95]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელდეს ცვლილება და სააპელაციო სასამართლოს მიენიჭოს უფლებამოსილება, განიხილოს საჩივარი პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინებაზე ზეპირი მოსმენით და გამოიკვლიოს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ კანონის დარღვევით გამოკვლეული მტკიცებულებები.

8. ორსულობის გამო გადავადებისა და ხანდაზმული ასაკის გამო გათავისუფლების საკითხების განხილვის თავისებურებები

მოცემული საშეღავათო მექანიზმების გამოყენების საპროცესო წარმოება კანონმდებლობით არ განსხვავდება ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის პროცესისგან. სპეციფიკური ხარვეზები ორსული ქალების/ხანდაზმულების მიმართ შუამდგომლობების განხილვისას არ გამოკვეთილა. თუმცა იყო შემთხვევები, როდესაც ხანდაზმული ქალი პატიმრები შუამდგომლობით მიმართავდნენ არაგანსჯად სასამართლოს, რომელმაც განაჩენი გამოიტანა.

საერთო ჯამში, **სასამართლოს ორსული ქალების მიმართ ლმობიერი მიდგომა გააჩნია, რაც მისასალმებელია, თუმცა, სასურველია სასამართლოს მოტივაცია იყოს ცხადი და**

[95] 2023 წლის მასალების შესწავლის შედეგად დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც სააპელაციო სასამართლომ, კანონის დანაწესის მიუხედავად, საჩივარი განიხილა ზეპირი მოსმენით და გამოიკვლია მტკიცებულებები.

განჭვრეტადი. ორსული ქალების მიმართ სასჯელის მოხდის გადავადების საკითხის განხილვისას[96] სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენებიდან გაურკვეველია, თუ რა გარემოებები გაითვალისწინა სასამართლომ, იმის დასასაბუთებლად, რომ მსჯავრდებულები არ ჩაიდენდნენ ახალ დანაშაულს.

მაგალითისთვის, პირებს, რომელთა მიმართაც გამოყენებულ იქნა სასჯელის მოხდის გადავადება, ბრალი ედებოდათ იმავე ხასიათის დანაშაულის ჩადენაში, რის გამოც ისინი სასჯელს იხდიდნენ. ერთი მათგანის მიმართ მოქმედებდა პირობითი მსჯავრი, ხოლო მეორე მათგანის მიმართ - სასჯელის მოხდა გადავადებული იყო ბავშვის ერთი წლის ასაკის მიღწევამდე. სასამართლომ გაითვალისწინა მხოლოდ მსჯავრდებულის ორსულობა და არ იმსჯელა საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ სხვა გარემოებებზე, როგორიცაა მსჯავრდებულის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენა, დანაშაულის ხასიათი, მოტივი, მიზანი, დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკი.[97] კიდევ ერთხელ, **ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ორსულ ქალთა მიმართ ლმობიერი დამოკიდებულება მისასალმებელია, თუმცა, აუცილებელია სასამართლომ მისი მოტივაცია დასაბუთებულად წარმოადგინოს და ამით მოხსნას არათანმიმდევრული პრაქტიკის განვითარების შესაძლო რისკი.**

ერთ-ერთ საქმეში მსჯავრდებულს გადაუვადდა სასჯელის მოხდა ორსულობის გამო ბავშვის ერთ წლამდე ასაკის მიღწევამდე, მიუხედავად იმისა, რომ მსჯავრდებულმა ახალი არაერთგზისი დანაშაული ჩაიდინა პირობითი მსჯავრის დროს. განაჩენის გამოტანიდან დაახლოებით ექვსი თვის შემდეგ პრობაციის სამსახურმა მიმართა სასამართლოს მსჯავრდებულის მიმართ სასჯელის მოხდის გადავადების გაუქმებისა და განაჩენის აღსრულების თაობაზე, ვინაიდან მსჯავრდებულის შვილი გადაცემული იყო მინდობით აღზრდაში. ზეპირი მოსმენის სხდომაზე მიწვეული იყო სოციალური მუშაკი და მსჯავრდებული. მსჯავრდებულის განმარტებით, მას შვილის აღზრდაზე უარი არ უთქვამს და მხოლოდ ოჯახის მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო იყო ბავშვი გადაცემული მინდობით აღზრდაში. აღნიშნული დაადასტურა სოციალურმა მუშაკიც და განმარტა, რომ მსჯავრდებული ნახულობდა შვილს. სასამართლომ გაითვალისწინა მითითებული გარემოებები და არ დააკმაყოფილა პრობაციის სამსახურის შუამდგომლობა სასჯელის მოხდის გადავადების შესახებ განჩინების გაუქმებისა და მსჯავრდებულის სასჯელის მოსახდელად პენიტენციურ დაწესებულებაში გაგზავნის თაობაზე.[98]

ხანდაზმულობის გამო სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ განჩინებებში, სხვა განჩინებების მსგავსად, ძირითადად ზოგადად არის მითითებული უარის თქმის საფუძვლები. თუმცა, სასამართლოები ასევე ითვალისწინებენ დანაშაულის ჩადენას ხანდაზმულ ასაკში. ამასთან, გამონაკლისია თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ სხვადასხვა დროს გამოტანილი განჩინებები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის

[96] კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა ორი მსჯავრდებულის მიმართ ორსულობის გამო სასჯელის მოხდის გადავადების საქმეები.
[97] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. მუხ. 283. ნაწ. 1^2.
[98] ბათუმის საქალაქო სასამართლო, საქმე N1-627/19წ.

141-ე მუხლით მსჯავრდებული პირის მიმართ, რომლის ადვოკატის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა. სასამართლო მიუთითებს კონკრეტულ გარემოებას, რის საფუძველზეც მიიჩნია, რომ მსჯავრდებულის მიერ მომავალში ახალი დანაშაულის ჩადენის რისკი არ იყო უარყოფილი და ყურადღება მიაქცია ხანდაზმულ ასაკში დანაშაულის ჩადენის გარემოებასაც.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ ხანდაზმულობის გამო მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ერთ-ერთ საფუძვლად მიუთითა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 144[3]-ე მუხლზე (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა) არ ვრცელდება სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა და ასევე დაუშვებელია მსჯავრდებულის სრულად გათავისუფლება პასუხისმგებლობისგან. საგულისხმოა, რომ ამ დროისთვის პირს უკვე დაკისრებული ჰქონდა პასუხისმგებლობა და მოხდილი ჰქონდა სასჯელის ნახევარი. შესაბამისად, შუამდგომლობის განხილვის დროისთვის პასუხისმგებლობისგან სრულად გათავისუფლების საკითხის განხილვა არარელევანტური იყო.[99]

9. მუდმივმოქმედი კომისიის საქმიანობა

როგორც აღინიშნა, ჯანმრთელობის მდგომარეობის საფუძვლით მსჯავრდებულის გათავისუფლების უფლებამოსილება გააჩნია ასევე იუსტიციის სამინისტროსა და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივ მუდმივმოქმედ კომისიას. კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა კომისიის მიერ 2017 წლის 1 სექტემბრიდან 2020 წლის 13 აგვისტოს ჩათვლით მიღებული 51 საქმე, აქედან 38 დადებითი გადაწყვეტილება და ექიმთა კონსილიუმის დასკვნები, ასევე 13 უარყოფითი პასუხი შუამდგომლობის დასაშვებად ცნობაზე.

კომისიის მიერ გათავისუფლებული მსჯავრდებულების ჯანმრთელობა იყო უკიდურესად ან კრიტიკულად მძიმე და თითქმის ყველა შემთხვევაში, არ იყო გამორიცხული ან მაღალი იყო ლეტალური შედეგის დადგომა. რამდენიმე შემთხვევაში პროგნოზი იმდენად არაკეთილსაიმედო იყო, რომ **მსჯავრდებულის დარჩენილი სიცოცხლის ხანგრძლივობა განისაზღვრა საათებით და დღეებით, ან დღეებით და კვირეებით.**[100]

ყველა მსგავს შემთხვევაში, მსჯავრდებულის ავადმყოფობის გამო სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლების შუამდგომლობა ეკუთვნოდა პენიტენციური დაწესებულების დირექტორს.[101] რაც შეეხება მსჯავრდებულთა ან მათ ადვოკატთა

[99] რუსთავის საქალაქო სასამართლო, საქმე N05-18.
[100] კომისიის №1/19-001, №1/19-002, №1/19-007 დასკვნები.
[101] 2020 წლის 16 ივნისის №145427/01 წერილი.

შუამდგომლობებს, კომისიის თანახმად, მათ მიერ წარმოდგენილი განცხადებები ვერც ერთ შემთხვევაში აკმაყოფილებდა განცხადების დასაშვებობის კრიტერიუმებს. 2017 წლის პირველი სექტემბრიდან 2020 წლის 13 აგვისტომდე კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებიდან არცერთი არ გასაჩივრებულა სასამართლოში.

სახალხო დამცველის აპარატმა დამატებით შეისწავლა ინფორმაცია დასაშვებობის ეტაპზე დახარვეზებულ განცხადებებთან/შუამდგომლობებთან დაკავშირებით. სახალხო დამცველის აპარატს მიეწოდა 2017-2020 წლებში გაცემული წერილობითი პასუხების ასლები (სულ 13 პასუხი), რომელთა შინაარსით მსჯავრდებულთა/ადვოკატთა/კანონიერ წარმომადგენელთა შუამდგომლობები ავადმყოფობის გამო მსჯავრდებულის სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლების თაობაზე დასაშვებობის ეტაპზე დახარვეზდა იმ მიზეზით, რომ სრულყოფილად არ იყო წარმოდგენილი შუამდგომლობების დასაშვებად ცნობისთვის საჭირო დოკუმენტაცია. კომისიის პასუხის თანახმად, უმეტესწილად, ასეთ დოკუმენტაციას წარმოადგენდა ექიმთა კონსილიუმის დასკვნა.[102]

ასევე პრობლემურია „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივი მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის წესის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის პირობების, აგრეთვე ექიმთა კონსილიუმის შექმნის წესისა და უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 31 აგვისტოს №104–№01-56/ნ ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრული გათავისუფლების პროცედურული მხარე, კერძოდ კი, **მკაფიოდ არ არის გაწერილი ვის და როგორ უნდა მიმართოს დაინტერესებულმა მხარემ ექიმთა კონსილიუმის შესაქმნელად.** საბოლოოდ, **პრაქტიკამ აჩვენა, რომ განცხადებების დახარვეზების საფუძველი ხშირ შემთხვევაში სწორედ ექიმთა კონსილიუმის დასკვნის არარსებობა წარმოადგენდა.**

მოქმედი კანონმდებლობით, კომისია ვალდებულია წელიწადში არანაკლებ ერთჯერ გამოაქვეყნოს საკუთარი საქმიანობის შესახებ ანგარიში, რომელიც უნდა მოიცავდეს კომისიის საქმიანობის სტატისტიკურ მონაცემებს.[103] **ანგარიშები პერიოდულად უნდა გამოქვეყნდეს შესაბამისი სამინისტროების ოფიციალურ ვებგვერდებზე, თუმცა დღეის მდგომარეობით მითითებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ არის.**

[102] 2020 წლის 14 აგვისტოს №198174/01 წერილი.

[103] „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივი მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის წესის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის პირობების, აგრეთვე ექიმთა კონსილიუმის შექმნის წესისა და უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 31 აგვისტოს №104–№01-56/ნ ერთობლივი ბრძანება, მუხ. 4, ქვეპ. 8.

10. 2023 წლის მონაცემები

- **სასამართლოს მიერ განხილული საქმეები**

მექანიზმის ეფექტიანობის დინამიკის ანალიზის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა ასევე შეისწავლა თბილისის, რუსთავის, ქუთაისის და ბათუმის საქალაქო სასამართლოების მიერ 2023 წელს განხილული, განაჩენის აღსრულების გადავადების/სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების შესახებ **29 შუამდგომლობის** განხილვის მასალები (როგორც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ასევე ხანდაზმულობის გამო სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების, ასევე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო განაჩენის აღსრულების გადავადების შესახებ შუამდგომლობები და მასალები).[104]

სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი თბილისის საქალაქო სასამართლოში გაეცნო 18 შუამდგომლობის განხილვის მასალებს, რუსთვის საქალაქო სასამართლოს მიერ მოწოდებულ 9, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ წარმოდგენილი 1[105] და ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ წარმოდგენილი 1 შუამდგომლობის განხილვის მასალებს.

შესწავლილი მასალების თანახმად, განხილული შუამდგომლობებიდან, არ დაკმაყოფილდა დაცვის მხარის 12 შუამდგომლობა, 3 მსჯავრდებული გათავისუფლდა სასჯელის შემდგომი მოხდისაგან (აქედან 2 ხანდაზმულობის გამო, ხოლო ერთი ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო), 4 შემთხვევაში შუამდგომლობა გათხოვილ იქნა დაცვის მხარის მიერ, ხოლო 2 შემთხვევაში დაცვის მხარე სასამართლოს მიმართავდა სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებულიყო მსჯავრდებული, რომლის მიმართაც უკვე გამოყენებული იყო განაჩენის აღსრულების გადავადება და არ იმყოფებოდა პენიტენციურ დაწესებულებაში, ხოლო ერთ შემთხვევაში დაცვის მხარემ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის აღსრულების გადავადების მოთხოვნით მიმართა მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო გასული განაჩენის სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადა. რამდენიმე საქმე წარმოადგენდა ერთი და იგივე მსჯავრდებულის მიერ, 2023 წელს, დროის მცირე პერიოდებში, სასამართლოსთვის რამდენჯერმე მიმართვას, ხანდაზმულობის გამო სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების თაობაზე. აღნიშნული შუამდგომლობებიდან ერთ მათგანზე სასამართლოს მიერ უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე, დანარჩენ შემთხვევებში კი სასამართლოს არ განუხილავს შუამდგომლობა, რადგან განჩინების გამოტანიდან გასული იყო დროის მცირე პერიოდი. აღნიშნულის თაობაზე მსჯავრდებულს ეცნობა წერილობით.

---

[104] 2023 წელს, ხსენებულ სასამართლოებს ორსულობისა და 1 წლამდე ბავშვის მოვლის გამო სასჯელის გადავადების საქმე არ განუხილავს და შესაბამისად, აპარატმაც ვერ შეისწავლა.

[105] ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 22 დეკემბრის №13254-1 წერილით სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ 2023 წლის განმავლობაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილულ იქნა სამი შუამდგომლობა განაჩენის აღსრულების გადავადების, ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის გამო სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლების შესახებ. თუმცა, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის წარმოდგენილი სამი საქმიდან მხოლოდ ერთი შეეხებოდა განაჩენის აღსრულების გადავადების თაობაზე შუამდგომლობის განხილვას, სხვა ორი საქმის მასალები კი ეხებოდა გამოძიებისა და საპროცესო შეთანხმების მასალებს.

მასალების შესწავლის შედეგად იკვეთება, რომ შუამდგომლობის განხილვისას, წინამდებარე ანგარიშში აღნიშნული ტენდენციები, ძირითადად კვლავ შენარჩუნებულია, მათ შორის, **კვლავ სასამართლოს მიერ ხდება მსჯავრდებული პირადი საქმის მასალების გამოთხოვა პენიტენციური დაწესებულებიდან.**

ამასთან, 2023 წელს განხილული მასალების თანახმად, **სპეციალური პენიტენციური სამსახურის შუამდგომლობის საფუძველზე ხდება იმ დაწესებულების მთავარი ან/და მკურნალი ექიმის დაკითხვა, სადაც სასჯელს იხდის მსჯავრდებული, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისა და პენიტენციურ დაწესებულებაში სათანადო სამედიცინო მომსახურების მიღების შესაძლებლობის გარემოებებთან დაკავშირებით, რაც 2020 წლამდე არსებულ პრაქტიკასთან შედარებით წინ გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება იქნეს მიჩნეული.** დაწესებულების სამედიცინო პერსონალი უფრო მეტად ფლობს ინფორმაციას პატიმრის მიერ პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის მდგომარეობისა და საჭიროებების შესახებ. ამასთან, **კვლავ არ ხდება მხარეების მიერ პენიტენციური დაწესებულების სხვა თანამშრომლებისა და პატიმრების დაკითხვის მოთხოვნის შემთხვევები,** რომლებსაც ასევე შეუძლიათ მოაწოდონ სასამართლოს ობიექტური ინფორმაცია პატიმრის მდგომარეობის შესახებ პენიტენციურ დაწესებულებაში სასჯელის მოხდის მიმდინარეობისას.

განსხვავებით 2020 წლამდე პერიოდში შესწავლილი მასალებისა, **2023 წელს განხილულ საქმეებში დაფიქსირდა ორი შემთხვევა, როდესაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ დაცვის მხარის სააპელაციო საჩივრის განხილვა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დანაწესის მიუხედავად,[106] ჩატარდა ზეპირი მოსმენით, მხარეების მონაწილეობით და მტკიცებულებების გამოკვლევით (მოწმეების დაკითხვა).**

შესწავლილი საქმეების თანახმად, იკვეთება, რომ 2023 წელს სასამართლოები გადაწყვეტილების მიღებისას კვლავ მხედველობაში იღებენ არა მხოლოდ მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობას, არამედ, იმ გარემოებას, თუ რამდენად არის შესაძლებელი მისთვის პენიტენციურ დაწესებულებაში სათანადო და დროული სამედიცინო მომსახურების მიწოდება და, საჭიროების შემთხვევაში, სამოქალაქო სექტორის კლინიკაში გადაყვანის შესაძლებლობა. სასამართლოები ასევე მხედველობაში იღებენ მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობას დანაშაულის ჩადენამდე და მკურნალობის ჩატარებას პენიტენციურ დაწესებულებაში შესახლებამდე.

იმ შემთხვევაში კი, თუ დაცვის მხარე შუამდგომლობით ითხოვს მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებას, სასამართლოს მიერ ყურადღება ექცევა, რამდენად არის მსჯავრდებულის დიაგნოზი მითითებული, „იმ მძიმე და განუკურნებელ დაავადებათა ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომლებიც მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან გასათავისუფლებლად წარდგენის საფუძველია“, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 15 თებერვლის №01-6/ნ ბრძანებაში. სასამართლოების მიერ დაცვის მხარის შუამდგომლობა სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების შესახებ არ

[106] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 291, ნაწ. 1.

კმაყოფილდება, თუ მსჯავრდებულის დიაგნოზი შესაბამის სტადიას არ შეესაბამება მითითებულ ბრძანებაში.

მსჯავრდებულის ხანდაზმულობის გამო გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობის განხილვისას სასამართლო 2020 წლამდე განხილული საქმეების მსგავსად, კვლავ ითვალისწინებს დანაშაულის ხასიათსა და გარემოებებს, მსჯავრდებულის ხანდაზმულ ასაკს დანაშაულის ჩადენის დროს, ახალი დანაშაულის ჩადენის რისკებს, როგორც ამას კანონმდებლობა მოითხოვს. ამასთან აღსანიშნავია, რომ ერთ შემთხვევაში, სადაც მსჯავრდებული იყო ხანდაზმული პირი, რომელსაც ხანდაზმულ ასაკში ჰქონდა გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაული, რასაც შედეგად ადამიანის სიცოცხლის მოსპობა მოყვა, ხასიათდებოდა დადებითად, როგორც პენიტენციური დაწესებულების, ასევე დაკავებამდე მასთან კონტაქტის მქონე პირებისგან (მეზობლები, სამსახურის, სადაც მუშაობდა დაკავებამდე), დაზარალებულის უფლებამონაცვლის პოზიცია წარდგენილი იყო დაცვის მხარის მიერ, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ უარი ეთქვა ხანდაზმულობის გამო სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლებაზე, ვინაიდან სასამართლომ მიიჩნია, რომ მსჯავრდებულის მიერ მოხდილი სასჯელის პერიოდი არ იყო საკმარისი სასჯელის მიზნების მისაღწევად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დაკმაყოფილდა დაცვის მხარის საჩივარი და მსჯავრდებული გათავისუფლებულ იქნა სასჯელის შემდგომი მოხდისაგან.

- **კომისიის მიერ განხილული საქმეები**

მუდმივმოქმედი კომისიიდან მიღებული განახლებული მონაცემებით,[107] ავადმყოფობის გამო, მსჯავრდებულის სასჯელისაგან გათავისუფლების თაობაზე კომისიას 2023 წლის განმავლობაში მიმართეს **სულ 28 შემთხვევაში.** აქედან: პენიტენციური დაწესებულების დირექტორებმა - 16-ჯერ; მსჯავრდებულებმა - 5-ჯერ; ადვოკატმა/კანონიერმა წარმომადგენელმა - 7-ჯერ. კომისიის მიერ მიღებულ იქნა: 16 დადებითი გადაწყვეტილება, ხოლო 12-მა ვერ დააკმაყოფილა დასაშვებობის კრიტერიუმები. ამასთან, კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არ გასაჩივრებულა.

კომისიის მიერ წარმოდგენილი მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ **არ შეცვლილა 2017-2020 წლების პრაქტიკა და 2023 წლის განმავლობაში განხილული 28 საქმიდან, მსჯავრდებულის გათავისუფლებასთან დაკავშირებით დადებითი გადაწყვეტილებები მიღებულია პენიტენციური დაწესებულების დირექტორების მიმართვის შემთხვევებში, ხოლო იმ შემთხვევებში, როდესაც კომისიას მსჯავრდებულები ან მათი ადვოკატები მიმართავენ, განცხადებები ხარვეზდება დასაშვებობის ეტაპზევე,**[108]

[107] საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივი მუდმივმოქმედი კომისიის 2023 წლის 22 დეკემბრის № 357016/01 და 2024 წლის 29 იანვრის № 25945/01 წერილები.

[108] სრულყოფილად არ იყო წარმოდგენილი შუამდგომლობების დასაშვებად ცნობისთვის საჭირო დოკუმენტაცია. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ექიმთა კონსილიუმის დასკვნაზე.

რის შემდგომაც ხარვეზის შევსებისა და ხელახალი მიმართვის შემთხვევები არ ფიქსირდება.

გათავისუფლებისთვის კვლავ წარადგენენ მხოლოდ უკიდურესად დამძიმებულ პატიმრებს. საქმის მასალების შინაარსიდან გამომდინარე, თითქმის ყველა შემთხვევაში, მსჯავრდებულები უგონო ან კომატოზურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, ან მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო, რომ არ შეეძლოთ ჩივილების დაფიქსირება და კითხვებზე ადეკვატური პასუხების გაცემა.

11. დასკვნა

წინამდებარე ანგარიშში განხილული სასჯელის გადავადებისა და სასჯელისგან გათავისუფლების მექანიზმების ფუნქციონირებაში არსებობს არაერთი საკანონმდებლო და პრაქტიკული ხარვეზი, რომლის გამოსწორებაც აუცილებელია, რათა მეტმა მსჯავრდებულმა მოახერხოს ამ შესაძლებლობით ეფექტიანი სარგებლობა.

სხვადასხვა ხარვეზი იკვეთება მექანიზმის გამოყენებისა და საერთო სასამართლოების მიერ შუამდგომლობის განხილვის პროცესში. გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც დაცვის მხარემ შუამდგომლობა არაგანსჯად სასამართლოში წარადგინა და სასამართლომაც, განსჯადობის პრინციპის უგულვებელყოფით განიხილა; გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც პენიტენციურმა სამსახურმა ჩაატარა სამედიცინო ექსპერტიზა და მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტიზის დასკვნით დადასტურდა მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა, არ მიმართა სასამართლოს მექანიზმის გამოყენების მოთხოვნით. მსჯავრდებულებს, ხარვეზიანი საკანონმდებლო რეგულაციების გამო, უარს ეუბნებიან სააპელაციო სასამართლოში იმ მტკიცებულების გამოკვლევაზე, რომელიც პირველი ინსტანციის სასამართლომ კანონის დარღვევით გამოიკვლია. ბუნდოვანია სასამართლოს განჩინებები დასაბუთების მხრივ და შეინიშნება სასამართლო გადაწყვეტილებების არაერთგვაროვანი პრაქტიკა.

რაც მთავარია, პრობლემურია ნორმატიული ბაზა და რეგულაციები, რომელიც არაერთ საკითხს ტოვებს ღიად და ბუნდოვან შთაბეჭდილებას ტოვებს მთელ პროცესზე. პრაქტიკაში არსებული ზემოაღნიშნული ხარვეზები ხშირ შემთხვევაში გამოწვეულია ნორმატიული აქტების ბუნდოვანებით. სასამართლოებს არ გააჩნიათ უფლებამოსილება, მიიღონ გადაწყვეტილება იმ მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების თაობაზე, რომლის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება მოსალოდნელი არ არის და მის მიმართ უკვე გამოყენებულია განაჩენის აღსრულების გადავადება; გარკვეულწილად ლოგიკური შინაარსის გარეშეა საკანონმდებლო დანაწესი, რომლითაც მსჯავრდებულს ეკისრება ვალდებულება ყოველწლიურად სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის წარდგენის შესახებ, მაშინ, როდესაც ექსპერტის დასკვნის საფუძველზე მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება მოსალოდნელი არ არის და რაიმე გარემოება მისი მდგომარეობის გაუმჯობესების შესაძლებლობის შესახებ არ

გამოკვეთილა; სააპელაციო სასამართლო ვერ იკვლევს პირველი ინსტანციის მტკიცებულებებს იმის გამო, კანონმდებლობა ზეპირი სხდომის ჩატარების შესაძლებლობას არ ითვალისწინებს.

კვლევამ ცხადყო, რომ მუდმივმოქმედი კომისიის საქმიანობის პროცედურული ნაწილი ბუნდოვანია. არ არის მკაფიოდ გაწერილი ექიმთა კონსილიუმის შესაკრებად მიმართვის პროცედურა და შესაბამისად, კონსილიუმის დასკვნის ვერ მოპოვება ხელს უშლის მსჯავრდებულებს/ადვოკატებს სრულყოფილად ისარგებლონ ჯანმრთელობის გამო კომისიის მექანიზმით გათავისუფლების შესაძლებლობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ანგარიშში მიმოხილული ხარვეზების აღმოსაფხვრელად მნიშვნელოვანია არსებული მექანიზმები უფრო მოქნილი და ხელმისაწვდომი გახდეს მსჯავრდებულებისთვის.

12. რეკომენდაციები

საქართველოს პარლამენტს

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შევიდეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

- განისაზღვროს გონივრული ვადა, რომელიც დაადგენს მაქსიმალურ ზღვარს, რომელზე უფრო ადრე ჩატარებული სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა არ იქნება რელევანტური ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სასჯელის მოხდის გადავადების/გათავისუფლების შუამდგომლობის განხილვის პროცესში და რაც გამორიცხავს მსჯავრდებულების მიმართ განსხვავებულ მიდგომას/არაერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკას;
- საერთო სასამართლოებს მიენიჭოს უფლებამოსილება განიხილოს ჯანმრთელობის მდგომარეობის ან/და ხანდაზმულობის გამო სასჯელის შემდგომი მოხდისაგან იმ მსჯავრდებულის გათავისუფლების საკითხი, რომლის მიმართაც უკვე გამოყენებულია სასჯელის მოხდის გადავადება;
- საერთო სასამართლოებს მიენიჭოს უფლებამოსილება, პერიოდული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის წარდგენის ვალდებულებისგან გაათავისუფლოს ან განსხვავებული ინტერვალი დაუდგინოს მსჯავრდებულს, რომლის მიმართ გამოყენებულია სასჯელის მოხდის გადავადება მძიმე ავადმყოფობის გამო და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება მოსალოდნელი არ არის;
- განისაზღვროს სასამართლოს განსჯადობა, რომელიც განიხილავს შუამდგომლობას იმ მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების თაობაზე, რომლის მიმართ უკვე გამოყენებულია სასჯელის მოხდის გადავადება და მსჯავრდებული არ იმყოფება პენიტენციურ დაწესებულებაში;
- სააპელაციო სასამართლოს მიენიჭოს უფლებამოსილება, იმ შემთხვევაში, როდესაც პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მტკიცებულების გამოკვლევა მოხდა კანონის

დარღვევით და მხარე ითხოვს ასეთი მტკიცებულების გამოკვლევას, საჩივარი განიხილოს ზეპირი მოსმენით და ასევე მოხდეს მტკიცებულების გამოკვლევა.

საქართველოს იუსტიციის მინისტრსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- გადაიხედოს დღეის მდგომარეობით არსებული გათავისუფლების მექანიზმი და ბრძანებაში მკაფიოდ გაიწეროს კომისიისთვის მიმართვის პროცედურა, რათა მსჯავრდებულებს, მათ ადვოკატებს და კანონიერ წარმომადგენლებს არ შეექმნათ დამატებითი დაბრკოლებები შუამდგომლობების წარდგენის დროს.

მუდმივმოქმედ კომისიას:

- პერიოდულად გამოაქვეყნოს საკუთარი საქმიანობის შესახებ ანგარიშები შესაბამისი სამინისტროების ოფიციალურ ვებგვერდებზე.